ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 14 აგვისტო, 2018 №191 (7736) ფასი: 60 თეთრი

ამირან დევნოზაშვილი, რომელსაც სვანეთში 8 შვილი სახლში ჰყავდა ჩაკეტილი, დაპატიმრეს

გვ.7

ის წარდგენილ ბრალს არ აღიარებს

„ლარი იმიტომ გააუფასურეს, რომ არჩევნებისთვის ფული სჭირდებათ“

გვ.4

„ივანიშვილი თავის ფულის დახარჯვას არ აპირებს“

ბექან ნათელაშვილი: „მეოცნებეთა დიდი ნაწილი დამსახურებულად მოხვდება მატროსოვზე“

მეუფე პეტრე მეუფე იაკობის და მეუფე შიოს წინააღმდეგ

ახალი დაპირისპირება საპატრიარქოში

გვ.2

მამუკა არეშიძე: „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ დარაზმული არაა“

გვ.3

„დასავლეთს ოპოზიციონერი კანდიდატი უნდა პრეზიდენტად, რაც „ოცნებაში“ დილემას იწვევს“

ჯემალ გამახარია: „რუსეთის მინიჭებული „დამოუკიდებლობა“ აფხაზეთს დაღუპავს“

გვ.3

სამართალი გვ.7

გომბორის ავარიის მონაწილე მძღოლს 8 წელი მიესაჯა

ესპანეთში ორი ქართველი კანონიერი ქურდი დაიჭირეს

ხულოში მიკროავტობუსი ხევში გადავარდა — დაშავდა 4 ადამიანი

ეკონომიკა გვ.6

ირაკლი კობახიძე: „ლართან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს მუდმივი კონსულტაციები მთავრობასთან“

ფერმერები: „ქვეყანაში იმპორტირებული სათესლე მასალა ხშირად უხარისხოა და არავინ აკონტროლებს“

საქართველოში 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასი 455 ლარია

ISSN 1987-9385

6 ცნობილია, რა თანხას დახარჯავს სახელმწიფო საპრეზიდენტო არჩევნებზე

5 კახა კალაძე: „ნარკოპოლიტიკის რეფორმაზე პარლამენტი მუშაობს“

7 ღუდუშაურის კლინიკაში მშობიარე გარდაიცვალა

5 უდიპლომო სოფელი — ავარები განათლების გარეშე

მეუფე პეტრე მეუფე იაკობის და მეუფე შიოს წინააღმდეგ

ახალი დაპირისპირება საპატრიარქოში

შორენა მარსაგიშვილი

მეუფე იაკობის სკანდალურ ქადაგებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატებმა პატრიარქის ქორეპისკოპოსი დაგმეს. მეუფე პეტრემ ბოდბელ ეპისკოპოსს ქადაგება დაუწუნა, მამა კახაბერ გოგოტაშვილმა კი უარყო, რომ მას აშანტაჟებდნენ.

მეუფე პეტრე, მეუფე იაკობის გარდა, პატრიარქის მოსაყდრეს მეუფე შიოს დაუპირისპირდა. მეუფე შიოს წარმომადგენელმა მამა ანდრია ჯაღმაიძემ ის არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა.

საგანგებო განცხადება გააკეთა საქართველოს საპატრიარქომაც. მეუფე იაკობის ქადაგების მსგავსად, ეს განცხადებაც საკმაოდ მკვეთრი იყო, რასაც საზოგადოებაში უკმაყოფილება მოჰყვა.

მამა კახაბერ გოგოტაშვილი ამ ეტაპზე რაღაც დეტალების დაკონკრეტებისგან თავს იკავებს. თუმცა უარყოფს, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის გარემოცვა მას აშანტაჟებდა.

– შევდიოდი მამა გიორგისთან ციხეში, ვნახულობდი, არაერთგზის ვიყავი შესული. ჩემი მხრიდან რაღაც განცხადებების გაკეთება, მაშინაც ვცდილობდი, არის რაღაც შიდა საეკლესიო საკითხები, არის რაღაც ისეთი საკითხები, რომელმაც შეიძლება კერძო, კონკრეტული პიროვნება დააზარალოს, საბოლოო ჯამში, ეკლესია დაზარალოს. ვფიქრობ, რომ ამიტომ, თავს შევიკავებ და როცა ჩამოვალ საქართველოში, გავივლი კონსულტაციებს უწმინდესთან, სინოდის წევრებთან, ვისთანაც საჭირო იქნება. თუ იქ სათქმელი იქნება რაიმე და მეტყვიან, რომ ეს უნდა მოყვე, ეს არ უნდა მოყვე, იმიტომ, რომ ეკლესიაში ასეთი წესია და მე ვცდილობ, შევასრულო ეს წესი, – განაცხადა მამა კახაბერმა რუსთავი 2-თან საუბარში.

მეუფე იაკობთან ძალიან მძიმე ურთიერთობა აქვს ადვოკატ მიხეილ რამიშვილს. მან ქორეპისკოპოსს რამდენიმე თვის წინ სასამართლოშიც კი უჩივლა. მათ შორის დაპირისპირება ციანიდის საქმეზე დაიწყო.

მამა გიორგის ადვოკატი ბოდბელი ეპისკოპოსის ქადაგებით აღშფოთებულია. მეუფე იაკობმა 12 აგვისტოს ქადაგებაში მამა გიორგი მამალაძე ავაზაკად მოიხსენია. რამიშვილი ამბობს, რომ მეუფე იაკობი წყალწაღებულს ჰგავს, რომელიც საშველად ხავსს ეჭიდება.

– წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, იაკობს შეუძლია, მეუფეებიც ნახოს, დაელაპარაკოს, ერთ-ერთი არის მეუფე ანდრია, რომელთანაც მქონდა მე კონტაქტი, დიახ, მქონდა მე მამა კახაბერთან ურთიერთობა, დიახ, მე მამა კახაბერს ვესაუბრებოდი, ეყოს ვაჟკაცობა ახლა მამა კახაბერს, გამობრძანდეს და თქვას, რა საკითხებზე ველაპარაკებოდი და რა შანტაჟზე იყო, თუ იყო საერთოდ, საუბარი.

რაც შეეხება ბიზნესებს, ეს არის მტკნარი სიცრუე, არანაირი ბიზნესი საქმეში არ არსებობს და თუ გავითვალისწინებთ, რომ მეუფე იაკობს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს სუსის მაღალჩინოსნებთან, მას თავისუფლად შეეძლო და შეძლებდა, რომ ეს ინფორმაცია მიეტანა სუსში მაღალჩინოსნებთან და აბსოლუტურად სხვანაირი რაკურსით წასულიყო გამოძიება და ეთანამშრომლა, თუ არსებობდა ამდაგვარი რამ, – აცხადებს მიხეილ რამიშვილი.



პატრიარქის ქორეპისკოპოსის მეუფე იაკობის განცხადებებს დეკანოზი გიორგი მამალაძის ძმა თორნიკე მამალაძე ეხმაურება. საუბარია მეუფე იაკობის საკვირაო ქადაგებაზე, რომლის ფარგლებშიც მან დეკანოზი „ავაზაკად“ და „დაჯგუფების წევრად“ მოიხსენია.

თორნიკე მამალაძის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტი დეკანოზს შეიწყალებს, ის ბევრ დეტალზე ისაუბრებს:

– ჩემი ძმა გამოსვლისთანავე დაიწყებს იმ თემებზე საუბარს, რის გამოც, ასე რომ ვთქვათ, ციხეში ზის და რაც მეუფე იაკობზე დასაბუთებული ინფორმაციები აქვს. აქედან გამომდინარე, ის არის შეშინებული. იყენებს ამბიონს ბოროტი განზრახვებით. ამბიონი არის საქადაგებელი, რომ ადამიანი ეკლესიაში მიიყვანო და მეუფე იაკობი საპირისპიროს აკეთებს და ამაზე, ჩემი აზრით, კიდევ ვიმეორებ, წმინდა სინოდმა პასუხი უნდა მოსთხოვოს, – განუცხადა თორნიკე მამალაძემ ნიუპოსტს.

მეუფე იაკობი აცხადებს, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე იძულებული იყო რუსეთიდან გამოქცეულიყო და მისთვის გაუგებარია, რატომ შეიფარა ის ქართულმა ეკლესიამ. მეუფე იაკობის თქმითვე, დეკანოზ მამალაძეს ავტომობილიც დაუწვეს.

– მანქანის დაწვასთან დაკავშირებით, მანქანა ნამდვილად დამწვარია, მაგრამ გამოძიებამ ვერ დაადგინა, ეს თვითონ მანქანის ელექტროსადენებიდან გამომდინარე იყო თუ ვინმემ დაწვა. ეს დასაბუთებული არ არის, ვერც ვერაფერი ვერ ნახეს, რომ დანამდვილებით ეთქვათ, რომ ვიღაცას დამწვარი აქვს. ჩემი ძმა, როგორც მეუფე იაკობმა თქვა, ძლივს გადაურჩაო, ჩემი ძმა მანქანაში საერთოდ არ იყო, – აღნიშნა თორნიკე მამალაძემ.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მეუფე იაკობს 12 აგვისტოს ქადაგებას უწუნებს და მის კიდევ ერთ სკანდალურ ქადაგებას იხსენებს. მისი თქმით, ქორეპისკოპოსმა ციანიდის სკანდალამდე ბევრად ადრე ისაუბრა იმაზე, რომ პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლა არის დაწყებული.

მეუფე პეტრე მიიჩნევს, რომ საგამოძიებო უწყებები ამ ქადაგებით უნდა დაინტერესდნენ და მეუფე იაკობი დაკითხონ.

– ეს საქციელი და არანაირად ქადაგება, ბოდბის წმინდა ნინოს კათედრიდან, არის მორიგი უპასუხისმგებლობა ბოდბელი ეპისკოპოსის მხრიდან და მორიგი სამარცხვინო საქციელი და უკვე შეიძლება შეფასდეს, რომ არა მარტო მას პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, წმინდა სინოდს და სინოდის თავმჯდომარეს ეკისრება. 2016 წლის შემოდგომაზე, ნოემბრის თვეში, თუ არ ვცდები, მეუფე იაკობმა, ასევე მსგავსი უპასუხისმგებლო განცხადებით ბოდბის კათედრიდან დააანონსა და თქვა, რომ თითქოს არის ბრძოლა დაწყებული პატრიარქის წინააღმდეგ და რომ სიძეობა არ არის იმუნიტეტი და რომ ის აუცილებლად დაიცავს პატრიარქს.

შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეში, იკრიბება წმინდა სინოდი. მე მას პირადად მივმართე, პატრიარქის და სინოდის თანდასწრებით, თხოვნით, მოთხოვნითაც, შეიძლება ითქვას, რომ მას ეთქვა, თუ რა მოვლენასთან გვქონდა საქმე და ის გაჩერდა, დადუმდა. დღემდე არ გაუცია პასუხი. რომ ეთქვა, თუ რამე ჰქონდა სათქმელი, თუ რასთან გვქონდა საქმე, რა მოვლენებთან, რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, რომ თვით ციანიდის სკანდალიც არ იქნებოდა და მთელი ქვეყანა ასეთ დიდ უხერხულობაში არ აღმოჩნდებოდა. და როგორც პატრიარქი ბრძანებს, მის თავზე ცა აღარ ჩამოინგრეოდა. მეუფეს გუშინდელი საქციელიც თუ განცხადება, იძლევა იმის საფუძველს, რომ ის დამატებით იქნეს დაკითხული ამ საქმეზე და ხელახლა წავიდეს წარმოებაში ციანიდის საქმე, – განაცხადა მეუფე პეტრემ.

ის მიიჩნევს, რომ ქორეპისკოპოსი საპატრიარქოში შექმნილი არაჯანსაღი ვითარების მსხვერპლია. ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ღმერთს შესთხოვს, რომ მან მეუფე იაკობი გონზე მოიყვანოს.

– მეუფეს დამოკიდებულება, ტონალობა, საქციელი ნამდვილად არ არის არანაირად ცათა სასუფევლის მაძიებელი და მე შევთხოვ, რომ გონს მოეგოს. დიდი ეჭვი მაქვს, როგორც მამა გიორგი აღმოჩნდა მსხვერპლი საპატრიარქოში არსებული არაჯანსაღი მდგომარეობისა, თვით მეუფეც არის მსხვერპლი არაჯანსაღი მდგომარეობისა, არაჯანსაღი ურთიერთობისა ხელისუფლებასთან და სპეცსამსახურებთან ურთიერთობისა, – აღნიშნა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი აცხადებს, რომ პატრიარქის ტახტის მოსაყდრეს ურჩია საპატიმროში დეკანოზ გიორგი მამალაძის მონახულება და მისი მოსმენა.

– ვურჩიე შემდგომში, მოგვიანებით, რომ ის თვითონ შესულიყო ან ვინმე თავისი ნდობით აღჭურვილი პირი შესულიყო მამაოსთან და მოესმინა მისგან, კარგი იქნებოდა, მაგრამ მას არ აღმოაჩნდა ის ღირსება თუ სიმაღლე სულიერი თუ გამბედაობა, რომ ნაბიჯი გადაედგა და ემოქმედა უფრო მეტი ლეგიტიმაციით, აქედან გამომდინარე და დღემდე, როდესაც პოზიცია არ არის გამოხატული, რა თქმა უნდა, არაფერი შეცვალა, ეს იყო თითქოს მცდელობა, რომ ყველაფერი შეცვლილიყო, ყველაფერი დასრულებულიყო, 2017 წელი მიეწერათ ბოროტი ძალებისათვის, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგ იბრძოდა და ამ დროს არავინ ახსენა უდანაშაულო მღვდელი, რომელიც სასჯელს იხდის აბსურდული ბრალდებით, წარმოგიდგენიათ? ადამიანს, რომელსაც ეუბნებიან, რომ შენ მიდიოდი პატრიარქის მდივანრეფერენტის მოსაწამლად ციანიდით გერმანიაში და გერმანიაში იმიტომ მიდიოდი, რომ იქ ადვილად მიიმალებოდი მართლმსაჯულებისაგან და ამას იმიტომ აკეთებდი, რომ ელოდებოდი თანამდებობრივ დაწინაურებას, რა უნდა ვისაუბროთ ამის შემდეგ? – განაცხადა მეუფე პეტრემ.

მის ამ განცხადებას მეუფე შიოს თანაშემწე, მამა ანდრია ჯაღმაიძე გამოეხმაურა. ის მიტროპოლიტს მეუფე შიოს აუგად მოხსენიების გამო და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების გამო საყვედურობს.

– ვუსმინე მეუფე პეტრეს. მე ერთ მის რეპლიკას ვუპასუხებდი, მეუფე პეტრე ამბობს, რომ მეუფე შიოს ღირსება არ აღმოაჩნდა, ვინმე შეეგზავნა მამალაძესთანო.

რეალობა კი ასეთია, მეუფე შიოს კურთხევით ვიყავი შესული 9-ში (მედია გაშუქებისა და ხმაურის გარეშე) და 2 საათნახევარი ვისაუბრეთ. უფრო ადრეც, როდესაც მეუფე გრიგოლი შედიოდა მამალაძესთან, მეუფე შიომ შესთავაზა, რომ მეც შევყოლოდი მას. მეუფე გრიგოლმა არ ისურვა ჩემი შეყოლა და მეუფე ილარიონთან ერთად შევიდა მაშინ მამა გიორგი მამალაძესთან.

სამწუხაროა, რომ მიტროპოლიტი, საჯაროდ, გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების ფონზე მეუფე შიოს ასე აუგად მოიხსენებს, – აცხადებს მამა ანდრია.

მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს შორის დავა ალბათ მომავალშიც გაგრძელდება. უკვალოდ არც საპატრიარქოს ოფიციალური განცხადება ჩაივლის. რომელიც ძალიან მკვეთრია.

საპატრიარქო აცხადებს, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს დეზინფორმაციის გავრცელებისთვის სინოდის წინაშე მოუწევს წარდგომა.

ამავე განცხადებაში განმარტებულია, თუ რატომ არ აფიქსირებდა საპატრიარქო თავის ოფიციალურ პოზიციას ციანიდის საქმეზე.

– ბოლო დროს კვლავ გააქტიურდა ზოგიერთი მედია დეკანოზ გიორგი მამალაძესთან მიმართებაში. მას წარმოაჩენენ სიმართლისათვის დევნილად, კორუფციასთან მებრძოლად და ამ მიზეზით დასჯილად; საპატრიარქოს კი – დამნაშავეთა დამფარველად და უსამართლობის ხელშემწყობად.

ამ აზრს კარგა ხანია ავრცელებენ, თუმცა არა ასეთი აქტიურობითა და სიმკვეთრით. მიზანია ეკლესიის და სასულიერო დასის დისკრედიტაცია და, ამასთან, შეწყალების მისაღწევად გარკვეული ზემოქმედების მოხდენა პრეზიდენტსა და საზოგადოებაზე.

„ციანიდის“ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს თავისი პოზიცია დღემდე არ დაუფიქსირებია ორი მიზეზის გამო: არ იცნობს გამოძიების მასალებს და, ამასთან, თავს იკავებს განცხადებებისაგან, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, დამატებითი ზიანი არ მიაყენოს დაკავებულს.

ჩვენ გვაქვს მოცემულობა, რომ, ფაქტიურად, სამი ინსტანციის სასამართლომ დეკ. გიორგი მამალაძეს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

ჩვენ ვერ შევაფასებთ სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს, მაგრამ შევნიშნავთ, რომ, სამწუხაროდ, როგორც დეკანოზი გიორგი მამალაძე, ისე მისი ინტერესების დამცველები მედიასთან ურთიერთობაში სიცრუეს მუდმივად იყენებენ და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

სიცრუეა ისიც, თითქოს საქართველოს საპატრიარქოში მილიონობით თანხებზე ხდება კორუფციული გარიგებები და რომ დეკანოზი ამის მხილებას შეეწირა.

საერთოდ, ეკლესია არავისი დაპატიმრების მოსურნე არ არის; ამისთვის იმ ადამიანებსაც არ იმეტებს, რომელთაც მორალურად თუ მატერიალურად სერიოზული ზიანი მიაყენეს მას. რატომ იქნება იგი მამალაძის დაჭერის მომხრე, ან რატომ არ დაიცავს მას, თუ ამის საფუძველი მიეცემა?!

ჩვენ არ ვიცით, შეიწყალებენ თუ არა მამალაძეს, მაგრამ მას აუცილებლად მოუწევს პასუხი გასცეს წმინდა სინოდს იმ ცილისწამებების გამო, რასაც თითქმის ორი წელია ავრცელებს, ან მისი სახელით ავრცელებენ, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა არეშიძე: „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ დარაზმული არაა“

„დასავლეთს ოპოზიციონერი კანდიდატი უნდა პრეზიდენტად, რაც „ოცნებაში“ დილემას იწვევს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **მამუკა არეშიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრობს.

– ბატონო მამუკა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა, რომ შეიძლება ოპოზიციონერი პრეზიდენტი შეგვრჩეს, რომელიც სტაბილურობის გარანტი ვერ იქნება. მართლაც შეიძლება ასე განვითარდეს მოვლენები?

– რასაკვირველია! სავსებით შესაძლებელია, რომ ასე განვითარდეს მოვლენები და მართლაც ოპოზიციონერი პრეზიდენტი მივიღოთ. არჩევნებია, რომელიც ზოგადად რთული საპროგნოზოა. მით უფრო მაშინ, როდესაც ასეთი ჩამოუყალიბებელი და გაურკვეველია სურათი.

– უმრავლესობაში მიმდინარე პროცესებს გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა! ისედაც, კანდიდატებთან დაკავშირებით თუ ვინ მიიღებს საბოლოოდ არჩევნებში მონაწილეობას, ჯერ არ არის ცნობილი. ბევრი გაურკვევლობა ახლავს თან ამ არჩევნებს.

ვიღაცისთვის მისაღები კანდიდატურაა, მაგალითად, სალომე ზურაბიშვილი, მაგრამ უმრავლესობის შიგნით მის მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არის. ისე არ არის, რომ „ქართული ოცნება“ დარაზმული იყოს სალომე ზურაბიშვილის მიმართ. ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია, რომელზეც პასუხები არ არსებობს. მე დღეს ვერ ვხედავ ხელისუფლების კონსოლიდირებულ მიდგომას საკითხის მიმართ.

– სალომე ზურაბიშვილის მიმართ თუ არჩევნების მიმართ?

– ზოგადად ხელისუფლებას არც კანდიდატის და არც ამ არჩევნების მიმართ არ აქვს პოზიცია ჩამოყალიბებული.

– რატომ, როგორ ფიქრობთ?

– იმიტომ, რომ გუნდი საკითხზე არ არის შეთანხმებული. არა მხოლოდ კანდიდატზე არ არიან შეთანხმებული, არამედ იმაზე, რომ დააყენონ თუ არა თავიანთი კანდიდატურა. არც იმაზე არიან შეთანხმებული, ოპოზიციას დაუთმონ სარბიელი თუ მაინც ნეიტრალურ კანდიდატურას დაუჭირონ მხარი.

ძალიან ბევრი გაურკვევლობაა გუნდის შიგნით, რაც არ არის კარგის ნიშანი. ამიტომ არის, რომ გუნდის წევრები უცნაურ განცხადებებს აკეთებენ. ასეთია დღეს სურათი.

– დასავლეთის რეაქცია ამ ყველაფერზე როგორი შეიძლება იყოს? დასავლელი პარტნიორებისთვის გასაგები შეიძლება იყოს ეს ვითარება?

– დასავლეთს ძალიან უნდა, ოპოზიციონერი კანდიდატი გახდეს პრეზიდენტი, მაგრამ დასავლეთისთვის მისაღები ოპოზიციური კანდიდატი დავით ბაქრაძეა და არავითარ შემთხვევაში გრიგოლ ვაშაძე.

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოზიციაა, რომ პარტიამ საერთოდ უარი თქვას კანდიდატურის დაყენებაზე ამის შესახებ იცის საზოგადოებამ, მაგრამ „ოცნების“ წევრები, უფრო ზუსტად კი პოლიტსაბჭოს ელიტა სხვადასხვანაირად არის ამ იდეის მიმართ განწყობილი. ამიტომაც არის ასეთი ქაოსური მდგომარეობა. ეს ქაოსური მდგომარეობა ერთი მხრივ უარყოფით ფაქტორებზე მიგვანიშნებს, მაგრამ მეორე მხრივ, დემოკრატიული პროცესია.

ამიტომ იმის დაბრალება, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბებას აპირებს, რაზეც საუბრობს ნაციონალური მოძრაობა, ცოტა გაუგებარია, რბილად რომ ვთქვა, სასაცილოდ ჟღერს. ეს თავის დაზღვევის მიზნით გაკეთებული განცხადება უფროა, ვიდრე რეალობასთან ახლოს მყოფი.

– კახა კალაძემ ღიად განაცხადა, რომ ისინი წინასაარჩევნო კამპანიის დაკვირვების რეჟიმში არიან. კალაძე არც იმას გამორიცხავს, რომ ვინმე ახალი კანდიდატი გამოჩნდეს, თუმცა აქ მთავარი ამ კანდიდატის უპარტიობა და დამოუკიდებლობაა. ამ განცხადებიდან ღიად ჩანს, რომ გადაწყვეტილება არ არის მიღებული?

– რასაკვირველია! კახა კალაძემ მართლაც ღიად თქვა იმ ვითარების შესახებ, რაც პარტიაში დღეს არის შექმნილი. იმ ცნობილი განცხადების შემდეგ, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა მანევრის რეჟიმშია.

– რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების საკითხს გულისხმობთ?

– დიახ. თუმცა, მე ვთვლი, რომ ამ გაუაზრებელ ნათქვამს არ უნდა გადავაყოლოთ სალომე ზურაბიშვილი და არ უნდა დავივიწყოთ ის ძალისხმევა, რაც მას რეალურად გაუკეთებია სწორედ რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით ლავროვთან მოლაპარაკებების დროს. მართალია, მოლაპარაკებები ჯერ კიდევ სტამბოლში დაიწყო და კონკრეტულად ამ მოლაპარაკებებში სერიოზული წვლილი რეზო ადამიას მიუძღვის, რომელიც რატომღაც ყველას დაავიწყდა, მაგრამ ხომ იყო საჭირო მისი ბოლომდე მიყვანა და მოლაპარაკებების გაგრძელება, ტექნიკურად ხომ იყო საქმე ბოლომდე მისაყვანი, რაც ნამდვილად არ იყო მარტივი. მაშინ სალომე ზურაბიშვილმა ლავროვთან მოლაპარაკებებში ეს შეძლო.

თუმცა, რასაკვირველია, ეს განცხადება არ იყო მარტივად მოსასმენი და აღსაქმელი, მე კიდევაც ვთქვი, რომ ამ განცხადებაში მას ორიანს ვუწერ-თქო, მაგრამ არაფერი არ შეშლიათ პოლიტიკურად დღევანდელი ოპოზიციის კანდიდატებს, იგივე გრიგოლ ვაშაძეს და დავით ბაქრაძეს?! არც ისეა საქმე, რომ ისინი სრულიად შეუცდომლები იყვნენ. ამიტომ, ჩემი პოზიციაა, რომ ამ განცხადებას არ უნდა გადავაყოლოთ სალომე ზურაბიშვილი.

– რამდენად ელოდებით, რომ არაორდინალური, დამოუკიდებელი კანდიდატი გამოჩნდეს და „ოცნება“ გადაეწყოს მის მხარდასაჭერად?

– „ქართული ოცნება“ მანევრის რეჟიმშია. ამიტომ, სულაც არ გამოვრიცხავ და არც გამიკვირდება, რომ მოულოდნელი სვლა გაკეთდეს.

– ალეკო ელისაშვილი შეიძლება კავშირში იყოს ამ მოულოდნელ სვლასთან?

– არა, ელისაშვილს მე ვერ ვხედავ ამ სქემაში, ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ გამორიცხული არაფერია.

მე მაინც ვფიქრობ, რომ თუ პარტია გადაწყვეტს 8 სექტემბრისთვის (კანდიდატების დასახელების ბოლო ვადა) ახალი კანდიდატურა წარადგინოს ან ირიბად დაუჭიროს მხარი, ეს უსათუოდ საზოგადოების წარმომადგენელი იქნება, საკმაოდ წონიანი.

– ვინ შეიძლება იყოს, იცით?

– არა, არა, მაგრამ ამ დარჩენილ დროში შეიძლება ბევრი სქემის მოფიქრება და მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ სქემებზე მიდიოდეს მუშაობა გუნდში.

ჯემალ გამახარია: „რუსეთის მინიჭებული „დამოუკიდებლობა“ აფხაზეთს დაღუპავს“

გულიკო ბალაძე

დღეს, 14 აგვისტოს, აფხაზეთში ომის დაწყებიდან 26 წელი შესრულდა. ახლა ამ ტერიტორიაზე საოკუპაციო რეჟიმი მოქმედებს. აფხაზები ყოფნა-არყოფნის ზღვარზე არიან, სეპარატისტთა ლიდერი რაულ ხაჯიმბა კი დარჩენილი ქართველების დისკრიმინაციასა და გააფხაზების გეგმების განხორციელებაზე ფიქრობს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარია** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ეს იყო დანაშაულებრივი ომი, რომელმაც უბედურება მოუტანა როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს.

– ბატონო ჯემალ, აფხაზეთში ომის დაწყებიდან მეოთხედი საუკუნე გავიდა. მიუხედავად ვითომ დამოუკიდებლობისა, აფხაზების მდგომარეობა აშკარად რთულია. რუსეთის ოკუპაციის პირობებში ისინი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე არიან. ამ ვითარებაში აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ დრო, სამურზაყანოელები თავის ფესვებს დაუბრუნდნენ. როგორც ისტორიკოსს, რა კომენტარი გაქვთ?

– სამწუხაროდ, სამურზაყანოს თემა დიდი ხანია არსებობს. შეიძლება ითქვას, მომდინარებს მე-17-მე-18 საუკუნეებიდან. განსაკუთრებით გამწვავდა მე-19-მე-20 საუკუნეებში და მე-20 საუკუნის დასაწყისში. თანამედროვე პირობებში ყველაფერი განახლდა და მიმდინარეობს სამურზაყანოს ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაცია წარმოუდგენელი ფორმებითა და მეთოდებით.

არა მარტო სამურზაყანოს მოსახლეობის დისკრიმინაცია ხდება, არამედ ოკუპაციის პირობებში აფხაზეთის მოსახლეობის დანარჩენი რეგიონების. დღევანდელი მოსახლეობის ისტორიულ ფესვებს თუ ჩავუღრმავდებით, მათ შორის, ე.წ. გამგებელი ნადარაია, რომელიც გალის რაიონში ამ დანაშაულებრივ პოლიტიკას ახორციელებს, დაახლოებით 60% აფხაზის ისტორიულ ფესვებს თუ ჩავუღრმავდებით, სულ სხვა დასკვნებამდე მივალთ.

– თუ 80%-ის ფესვებს?

– ეს არ არის ის თემა, რომლითაც დღეს ჩვენ უნდა ვიყოთ დაკავებულები, მაგრამ, სამწუხაროდ, ენგურს გაღმა ხორციელდება ქართველების დისკრიმინაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვით, ზოგი უნდა გარუსდეს, ზოგი – გააფხაზდეს. ვინც არ დაეთანხმება მათ გეგმას, დაისჯება. ასეთია რეალური პოლიტიკა, რომელიც ოკუპაციის პირობებში ენგურს გაღმა მოქმედებს.

– ისტორიკოსი თემურ მიბჩუანი აცხადებდა, აფხაზების 80%-ს ქართული ფესვები აქვსო.

– შეიძლება მართლაც 80%-ია, მაგრამ მინიმუმ 60% ნამდვილად არის. ძნელია დაანგარიშება, მაგრამ დღევანდელი აფხაზური მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართული წარმოშობისაა. რა თქმა უნდა, თავისი თვითშეგნებით აფხაზია, მაგრამ თუ ამ გზას დავადგებით, რა გზასაც ხაჯიმბა, ნადარაია და მთელი საოკუპაციო რეჟიმი ადგას, მაშინ დავინახავთ, რომ მათი დიდი უმრავლესობა ქართული წარმოშობის, ქართული ფესვების მქონეა.

– ამ შემთხვევაში, ჩვენ არ ვგულისხმობთ გალის მოსახლეობას.

– რასაკვირველია, არა. მე ვგულისხმობ ღალიძგის იქით მცხოვრებლებს, ოჩამჩირეში, სოხუმში, გულრიფშში მცხოვრებ აფხაზებს, მათი დიდი უმრავლესობის ფესვები ქართულია, რაც მათ შესანიშნავად იციან.

– თქვენ თქვით, ეს პრობლემა მე-17-18 საუკუნიდან მომდინარეობსო, როცა მოგეხსენებათ, ისტორიაში ჩრდილოეთიდან მოსახლეობა ჩამოვიდა აფხაზეთში, რაც ე.წ. მთის ჩამოწოლის სახელწოდებითაა ცნობილი., ანუ იმ დროიდან მათი მიზანი იყო ქართველი მოსახლეობის გააფხაზება?

– მათ, ვისაც ჩვენ დღეს აფხაზებს ვეძახით, მდინარე კელასურიდან ენგურამდე ტერიტორია დაიკავეს მე-17 საუკუნის 80-იან წლებში. მანამდე ეს ტერიტორია იყო ოდიში, სამეგრელო ქართველი მოსახლეობით, ქართული ეკლესიებით. ნებისმიერმა ისტორიკოსმა, რომელსაც რაღაც იცის ამ ეპოქის საქართველოს ისტორიის შესახებ, ყველა ძალიან მარტივად გეტყვით, რომ ასეა.

ამის შესახებ უამრავი წყარო არსებობს, როგორც ქართული, ასევე, განსაკუთრებით, უცხოური, თვით რუსული წყაროებიც კი ამაზე გვესაუბრებიან, სადაც ყველაფერი აღწერილია ქართველთა შემადგენლობის, ქართული სამღვდელოების შესახებ. მე-17 საუკუნის ბოლოს ეს ტერიტორია დაიკავეს აფსუებმა.

ვახუშტისაც უწერია და სხვებსაც, რომ მათ ჩამოასახლეს თავიანთი მოსახლეობა ჩრდილოეთ კავკასიიდან და მოახერხეს ღალიძგამდე ტერიტორიის მეტ-ნაკლებად ათვისება. სამურზაყანოშიც ჩამოასახლეს ბზიფის იქითა ტერიტორიებიდან გარკვეული მოსახლეობა, რომლებიც დღეს იქ ცხოვრობენ. მაგალითად, ზუხბაიები, აგბაიები და ა.შ. მათი ფესვები აფხაზურია, მაგრამ გასული სამი საუკუნის განმავლობაში ისინი გაქართველდნენ, რადგან ქართველების გარემოში ცხოვრობდნენ.

ეს ბუნებრივი მოვლენაა. არავინ დავობს, რომ იგივე ზუხბაია და არძინბაია შეიძლება იყოს და არის კიდეც აფხაზური ფესვების მატარებელი, მაგრამ როცა დღეს შენ (უკვე ორი საუკუნის შემდეგ, როდესაც მათ მყარად აქვთ ჩამოყალიბებული ქართული ქართული ცნობიერება) ძალადობრივი გზით ახდენ ასიმილაციას, ეს დანაშაულია.

მე-17-მე-18 საუკუნეებში მათ მიმართ ძალადობა არავის ჩაუდენია და ვერც ჩაიდენდნენ გასაგები მიზეზების გამო. დღეს კი აფხაზეთში რაც ხდება, არის ძალადობა, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და სუფთა წყლის გენოციდია.

– სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ ქართველები და აფხაზები 98%-ით ერთნაირი დნმ-ის მატარებლები არიანო.

– სავსებით სწორია. მიზეზი არის ის, რაც გითხარით. ჩვენი ხალხები იმდენად არის ერთმანეთში შერეული სისხლით, ნათესაობით, ადათ-წესებით, რომ თითქმის ერთი და იგივე დნმ-ის მატარებლებია. ანთროპოლოგებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ აფხაზები

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ლარი იმიტომ გააუფასურეს, რომ არჩევნებისთვის ფული სჭირდებათ“

„ივანიშვილი თავის ფულის დახარჯვას არ აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ გაუფასურდა ლარი არჩევნების წინ, რას ემსახურებოდა ივანიშვილის მიერ ბანკირების ლანძღვა, როგორ უნდა უპასუხოს ხალხმა „ოცნების“ გაუმაძღრობას და ვირეშმაკობას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

ბეჟან ნათელაშვილი:

– მოახლოვდა საპრეზიდენტო არჩევნები და „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ მიიტანა ლარზე იერიში. ისევე, როგორც ყოველი არჩევნების წინ, ახლაც ცდილობენ, ხალხისგან ამოიღონ არჩევნებზე დასახარჯი მილიონები.

რაც არ უნდა იძახონ, რომ ლარის გაუფასურება რეგიონში მიმდინარე პროცესების ბრალია, ამას არ დავიჯერებ. კარგად ვხედავ, რომ ლარი არჩევნების წინ უფასურდება.

ამ ვირეშმაკულ ხერხს „ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის დავალებით მიმართავს. ხალხს არ-

ჩევნებზე უკანასკნელ თეთრებს წაართმევენ და მერე არჩევნებზე დაარიგებენ ამ ფულს. ამ აფიორაში სიხარულით მონაწილეობენ ბანკები. მოგება მათაც რჩებათ და რატომ იტყვიან უარს.

– ამ გარიგებაში ის ბანკების მონაწილეობენ, ივანიშვილმა ქვეყნის გადაჭმა რომ დააბრალა?

– რა თქმა უნდა, მონაწილეობენ და ერთი წამით არ დაიჯეროთ, რომ ოლიგარქი ბანკებს დაუპირისპირდა. მისი განცხადება იყო სპექტაკლი. ივანიშვილმა ბანკირებს ქვეყნის გადაჭმის გამო უსაყვედუროს, ეს იგივეა, მელა თავის კუდს ეჩხუბოს – საქათმეში რატომ შეხვედი და ქათმები შეჭამეო.

გაითამაშა ბანკებთან დაპირისპირება და ძალიან მალე კიდევ ერთხელ ავარდა დოლარი. ეროვნული ვალუტა მანამდე არ დასტაბილურდება, სანამ სასურველ თანხას არ ამოიღებენ.

– ამბობთ, არჩევნებისთვის უნდათ ეს ფული. „ოცნებას“ საკუთარი კანდიდატი არ ჰყავს და ვის დაახარჯებს ამ ფულს?

– „ოცნებას“ კანდიდატი არ ჰყავს, მაგრამ კანდიდატი ჰყავს ივანიშვილს. ხალხისთვის ამოცლილი ფული ივანიშვილის ფავორიტის გაპრეზიდენტებას უნდა მოხმარდეს.

– თავისი ფული რომ დაახარჯოს ივანიშვილმა თავის ფავორიტს, არ შეიძლება?

– როგორ არ შეიძლება, მაგრამ სად გინახავთ, ეგ კაცი რამეზე თავის ფულს ხარჯავდეს. ხეებსაც კი ჩვენი ფულით მიათრევს თავის ეზოში. ამოიღებს მილიონებს და მერე ცოტა დასტაბილურდება ლარი.

ფულის გარეშე „ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს ხმას არავინ მისცემს. ხალხი ისეა გამწარებული, რომ „ოცნებას“ ფულის სანაცვლოდაც აღარ მისცემენ ხმას.

– დარწმუნებული ხართ, რომ ხალხი გამწარებულია? ქუჩაში გამოსვლა არავის უნდა.

– ხალხი ქუჩაში რომ არ გამოდის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არსებული ვითარება მოსწონთ. ხშირად მიწევს რეგიონებში ჩასვლა და ვიცი, რასაც ფიქრობს ხალხი. ერთი პატარა ნაპერწკალია საკმარისი, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს. ქუჩაში გამოსვლა აუცილებლად იქნება და ეს „ოცნების“ გაქცევით დასრულდება. ხალხმა ისედაც ბევრი ითმინა მათი აფერისტობა და ღალატი.

რევოლუცია ქვეყნისთვის სასარგებლო არ იქნება, ყველაზე კარგი იქნება, თუ ხელისუფლებას არჩევნების გზით შევცვლით. 28 ოქტომბერს სახლში არავინ უნდა დარჩეს. ყველა საარჩევნო უბანზე უნდა იყოს.

– ხალხს პოლიტიკოსების და არჩევნების მიმართ ნდობა აქვს დაკარგული. როგორ აპირებთ მათ მიყვანას საარჩევნო უბნებზე?

– ერთადერთი ძალა, რომელსაც ხალხის არჩევნებზე მისვლა არ უნდა, „ქართული ოცნებაა“. დანარჩენმა პარტიებმა ძალიან ბევრი უნდა იმუშაონ, რომ ხალხი დაარწმუნონ. დროა, შეიგნოთ, რომ არჩევნები სერიოზული მოვლენაა და ამ დღეს ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ბედის გადაწყვეტა.

– მოსახლეობის დიდი ნაწილი იმიტომ არ მიდის არჩევნებზე, თვლის, რომ შედეგები მაინც გაყალბდება.

– არჩევნების გაყალბება განსაკუთრებით მაშინ არის ადვილი, როცა ხალხი არჩევნებზე არ მიდის. ამ პროტესტით ხალხი თავად მონაწილეობს არჩევნების გაყალბებაში.

მაგალითად, წავედი აგარაკზე და თბილისში სახლი ღია დავტოვე. აგარაკიდან დაბრუნებულს სახლი გაძარცული დამხვდა. საკუთარი თავის გარდა, ამას ვერავის დავაბრალებ – კარი რომ ჩამეკეტა, სახლს არავინ გაძარცვავდა.

ბეჟან ნათელაშვილი: „მეოცნებეთა დიდი ნაწილი დამსახურებულად მოხვდება მატროსოვზე“

ასეა არჩევნებზეც. თუ ამომრჩეველი არ იქნება, მეტი გამოუყენებელი ბიულეტენი იქნება. „ოცნება“ ამ ბიულეტენებით მშვენივრად გააყალბებს არჩევნებს.

ეს რომ არ მოხდეს, ყველანი უნდა მივიდეთ საარჩევნო ურნებთან. ამ შემთხვევაში არჩევნების გაყალბების შანსი ნაკლებია.

მოსახლეობას უნდა შევაგნებინოთ, რომ არჩევნებზე წაუსვლელობა ხმის გაყიდვაზე უარესია. ამომრჩეველი ხმების დასაცავადაც უნდა იყოს მზად. ერთი დღე როგორმე უნდა გავიჭირვოთ და ჩვენი არჩევანი დავიცვათ. ასეთ პირობებში „ოცნება“ ვეღარ გაბედავს გაყალბებას.

– თუ გაბედა?

– მაშინ ძალიან ცუდად დაამთავრებენ. ხალხს ისედაც ერთი სული აქვს, ამათ როდის მოიშორებენ. არჩევნების გაყალბება დიდი მღელვარების მიზეზი გახდება, თუ მანამდე არ დაიწყო გამოსვლები.

– მანამდე რატომ უნდა დაიწყოს გამოსვლები?

– თუნდაც ლარის გაუფასურების გამო. ხალხი ისედაც ვეღარ ყიდულობს საჭმელს და ახლა კიდევ უფრო მძიმდება მდგომარეობა. ამათ ხალხის ბედი საერთოდ არ აინტერესებთ, მთავარია, რაც შეიძლება მეტი ფული ამოგვაცალონ. ჩვენი ჯიბიდან ამოცლილი ფულიდან ხმების ყიდვას შეეცდებიან და ამით მომავალს მოგვპარავენ.

როგორც ამბობენ, ყველაფერს აქვს საზღვარი და დასასრული, „ოცნების“ დასასრულიც მალე დადგება. მათ გაუმაძღრობა და ხალხის აბუჩად აგდება გადაიყოლებს. ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი დამსახურებულად მოხვდება მატროსოვზე.

ჯემალ გამახარია: „რუსეთის მინიჭებული „დამოუკიდებლობა“ აფხაზეთს დაღუპავს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

უფრო ახლოს არიან დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ მეგრელებთან, გურულებთან, აჭარლებთან, ვიდრე ვთქვათ, იმერლები და ქართლელები, კახელები და გურულები. ამ დონის ნათესაობაა.

– ახლა ხაჯიმბას რატომ გაახსენდა ეს? ხომ უნდოდათ ქართველები მოეშორებინათ (ეთნოწმენდას ვგულისხმობ), ან გაერუსებინათ. ახლა გააფხაზება გაახსენდათ.

– აფხაზები კარგად ხედავენ, რა მოელით მათ ოკუპაციის პირობებში. ამიტომ ყველანაირად ცდილობენ, აფხაზური მოსახლეობა ხელოვნურად გაზარდონ. უნდათ გალელები ან გააფხაზდნენ, ან იქაურობა დატოვონ. მათ ჩამოჰყავთ მოჰაჯირთა შთამომავლები, რის წინააღმდეგი ჩვენ, ბუნებრივია, არ ვართ და არც ვიქნებით.

– მოჰაჯირ აფხაზთა შთამომავლების ჩამოყვანა აფხაზებს უშველით?

– მოჰაჯირ აფხაზთა შთამომავალთა რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მათ ვერ უშველით ვერც მოჰაჯირ აფხაზთა შთამომავლების ჩამოყვანა (რომელთა რაოდენობა ათასამდე შეიძლება იყოს) და ვერც რამდენიმე ათეული გალელის გააფხაზება.

– აბა, რა უშველით?

– აფხაზების ერთადერთი ხსნა, საქართველოს წიაღში მათი დაბრუნებაა. საქართველოს წიაღში დაბრუნება მათ ეროვნული იდენტობის დაკარგვისაგანა იხსნის. სხვა ყველა გზა მცდარია.

– ანუ ხაჯიმბას გზა მცდარია?

– ხაჯიმბას გზა მცდარია. მისი გზა გამოიწვევს გალის რაიონის მოსახლეობის დაპირისპირებას დანარჩენი აფხაზეთის მოსახლეობასთან, უპირველეს ყოვლისა, აფხაზობასთან. გალის მოსახლეობა ამის წინააღმდეგია, მაგრამ მაინც ცდილობენ მათ შორის იყო ძალიან მწვავე დაპირისპირება. გარკვეული პერიოდის შემდეგ, რისთვის გამოიყენებს რუსეთი ამ დაპირისპირებას, ძნელი მისახვედრი არ არის და აფხაზები ამაზე კარგად უნდა დაფიქრდნენ.

– მე ესეც რუსული გეგმით ნაკარნახევი მგონია. ხაჯიმბას უკარნახეს და გალის მოსახლეობის შევიწროვების ახალი გეგმა დასახა. ხაჯიმბას ჭკუა რომ ჰქონდეს, გალელების გააფხაზების გეგმას წამოიწყებდა მაშინ, როცა აფხაზეთში სომხების პრობლემა აქვს?

– მათი ეს გეგმა წინასწარ არის განწირული. ვინც გამოაცხადა, თითქოს აფხაზური პასპორტი აიღო, მათგან ყველას არ ვიცნობ, მაგრამ ბევრს ვიცნობ. მათთვის ეს არის სუფთა საბჭოთა პურის ტალონებივით – საბუთი, რომ ენგური მშვიდად გადალახონ და მშვიდად იცხოვრონ აფხაზეთის ტერიტორიაზე, საკუთარ სახლში, გალის რაიონში. ამისთვის სჭირდებათ ზოგიერთებს ე.წ. აფხაზური პასპორტი. გალის მცხოვრებლებიდან შეიძლება გააფხაზდეს მაქსიმუმ რამდენიმე ათეული ადამიანი. ამიტომ ეს არ არის ის გზა, რომელიც აფხაზ ხალხს გადაარჩენს. ამიტომ ვაცხადებ – აფხაზ ხალხს გადაარჩენს ქართულ სახელმწიფოში დაბრუნება, ქართველების მფარველობა, როგორც გადაარჩინა მე-19 საუკუნეში და უფრო ადრე.

– რამდენიმე ათეული გააფხაზდება 50.000 ქართველიდან?

– დიახ. ყველა, ვინც მათ პასპორტს აიღებს, არ ნიშნავს იმას, რომ გააფხაზდება. ეს არის სრული სისულელე. ასეთი ილუზიებით თუ იკვებებიან, კარგად ყოფილა მათი საქმე.

– ახლა ხაჯიმბას სცალია ქართველების შევიწროვებისთვის, როდესაც სომხების პრობლემა აქვს? სომხურ პრობლემაზე აფხაზეთში ცნობილი შამბაც საუბრობდა. აფხაზების წინაშე დამსახურებიდან გამომდინარე სომხებს ხომ გაეღვიძათ მადა და კულტურული ავტონომია მოითხოვეს, თუმცა, შიგა და შიგ საუბარი იყო პოლიტიკურ ავტონომიაზეც.

– თქვენ სწორად აღნიშნეთ, გალის რაიონის მიმართ სუფთა

რუსული პოლიტიკა მოქმედებს და არა აფხაზური, რადგან ახლა ამ თემის წამოწევა არ შეიძლება აფხაზების ინტერესებში შედიოდეს. ხაჯიმბა არ უნდა იყოს ისეთი გამოთაყვანებული, რომ არ იცოდეს, საბოლოოდ რა შედეგები შეიძლება ყოველივე ამას მოჰყვეს. იქ ხომ ჭკვიანი ადამიანებიც არიან, ბოლოს და ბოლოს, ეს ხაჯიმბას თუ არ ესმის, სხვებს ხომ უნდა ესმოდეთ. ამიტომ ვფიქრობ, დღეს თუ არა ხვალ, იქ გამოჩნდებიან ადამიანები, რომ ეს არის დამღუპველი აფხაზებისთვის და, იმედია, დანაშაულებრივი პოლიტიკა გალის რაიონის მოსახლეობის მიმართ შეწყდება.

– მოგეხსენებათ, 14 აგვისტო არის აფხაზეთში ომის დაწყების დღე. მას შემდეგ 26 წელი გავიდა. დღეს ჩვენ ვსაუბრობთ იმ პრობლემებზე, რაც შექმნა ამ ომის შედეგმა, აფხაზეთის ოკუპაციამ. დღეს როგორ აფასებთ იმ მოვლენებს?

– დანაშაულებრივი ომი იყო, მაგრამ არ შემიძლია ამ ომის დაწყებაში მხოლოდ რომელიმე ერთი მხარე დავადანაშაულო. თუ ერთ მხარეს დაადანაშაულებ, ეს მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს.

– ვის ადანაშაულებთ?

– რა თქმა უნდა, აფხაზეთის ომის გაჩაღებაში თავისი წვლილი მიუძღვის საქართველოში არსებულ იმ უკანონო რეჟიმს, რომელსაც შევარდნაძე ხელმძღვანელობდა და არძინბას რეჟიმს.

– თითქოს ჯარის შესვლა არძინბასთან იყო შეთანხმებული, რაც არძინბამ გამოიყენა.

– სწორია, არძინბასთან ნამდვილად იყო შეთანხმებული აფხაზეთში ქართული ქვედანაყოფების შესვლა. არძინბამაც ძალიან კარგად იცოდა და შევარდნაძე-კიტოვან-იოსელიანმაც შესანიშნავად იცოდნენ, რომ ამას შემდეგ საბრძოლო მოქმედებები მოჰყვებოდა. ეს იყო რუსული გეგმა, რომელიც შევარდნაძემ და არძინბამ შეასრულეს.

ეს იყო დანაშაულებრივი ომი, რომელმაც მხოლოდ უბედურება მოუტანა (მეტი არაფერი) როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს. „დამოუკიდებლობა“, რომელიც თითქოს რუსეთმა აფხაზებს უბოძა, არის გზა დაღუპვისკენ და არა აღორძინებისკენ. ამ ომს სამხედრო ბაზებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გარდა, ამ ე.წ. დამოუკიდებლობას არაფერი მოუტანია. ეს სიდუხჭირე და ბაზები მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. აქედან მხოლოდ ერთი გამოსავალია, ჩვენი შერიგება, ქართული სახელმწიფოებრიობის წიაღში აფხაზეთის დაბრუნება. სხვა გზა აფხაზთა გადარჩენის არ არსებობს. ეს არის აქსიომა, რომელსაც დღეს ძალიან ბევრი აფხაზი ეგურს გაღმა აცნობიერებს.

უდიპლომო სოფელი – ავარები განათლების გარეშე

– შამილ, მოდი, ჟურნალისტები გელოდებიან, უნდა გელაპარაკონ! ხუთ წუთში, სახლის ჭიშკართან 15 წლის, გამხდარი ბიჭი მოდის, გვესალმება და მორცხვი ღიმილით დედის გვერდით დგება.

შამილი ეთნიკური ავარებით დასახლებულ სოფელ შოროხში ერთადერთი მოსწავლეა, ვინც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ცხრაკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლის გაგრძელება ახალსოფლის სკოლაში გადაწყვიტა.

საუბრის დაწყება უჭირს, – „რა გითხრათ, კლასში ოთხნი ვიყავით. სწავლა მხოლოდ მე გავაგრძელე. ერთი გოგო გვყავდა, იმასაც უნდოდა, მაგრამ დაინიშნა უკვე“.

შამილისთვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს. ფიქრობს, რომ სწავლის საშუალება გოგონებსაც და ბიჭებსაც თანაბრად უნდა ჰქონდეთ. თვითონ რომ და ჰყოლოდა, დაეხმარებოდა სწავლა გაეგრძელებინა. თორმეტი კლასის დამთავრების მერე უმაღლესში ჩაბარება უნდა. მსახიობობაზე ოცნებობს.

„მშობლები სახლში არ იყვნენ, დავურეკე და ვუთხარი, სწავლას ვაგრძელებ-მეთქი. მითხრეს, რომ კარგი გადაწყვეტილება იყო და როგორც შეძლებდნენ, ყველაფერში დამეხმარებოდნენ. მინდა, მსახიობი გამოვიდე და საშინელებათა ფილმში მივიღო მონაწილეობა. კინოში არასდროს ვყოფილვარ. ფილმებს ტელევიზორში ვუყურებ ან დისკებს ვყიდულობ და კომპიუტერში ვრთავ“.

ახალი კლასელები მოსწონს. ახალსოფლის სკოლა, რომელშიც შამილი სწავლობს, უახლოესია, სადაც შოროხელ ბავშვებს სრული საშუალო განათლების მიღება შეუძლიათ.

კითხვაზე, რას აკეთებენ სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები, შამილის პასუხი ასეთია – ბირჟაზე დგანან, ან თხოვდებიან, ან სხვის მიწაზე დაქირავებულ მუშებად მუშაობენ.

შოროხელი ქალები

შამილის დედა მეზობელ სოფელში დღიურ სამუშაოზე დადის. საკუთარი მეურნეობა აქ თითქმის არავის აქვს, თავს ვერც მესაქონლეობით ირჩენენ. სუმხარას არ უნდა, რომ მისი შვილიც, თემის სხვა კაცებივით დაღესტანში წავიდეს ან მასავით დაქირავებულ მუშად დღეში 8 საათი მზის გულზე იმუშაოს.

„ჩვენთან სწავლის გაგრძელება წესი არ არის. ჩემმა ბალღმა რომ დამირეკა და მითხრა, სწავლას ვაგრძელებო, დავპირდი, რომ ყველაფრით დავეხმარებოდი“.

იმის გამო, რომ კაცები სარჩოს რუსეთში ეძებენ, სოფელში მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალები არიან. შრომის მთელი ტვირთიც მათზე მოდის. ქალები ამ ტვირთის ზიდვას, დაახლოებით 16 წლიდან იწყებენ – ეს მათი დაოჯახების საშუალო ასაკია. ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ გოგონებს სასწავლებლად აღარ უშვებენ.

41 წლის სუმხარას ცხრა კლასის განათლება აქვს. მეუღლე წლებია მოსკოვშია. ორ ვაჟს მარტო ზრდის. დედას უხარია, რომ სწავლა უმცროსმა მაინც გადაწყვიტა. გოგო რომ ჰყოლოდა, მისი სწავლისთვისაც ყველაფერს გააკეთებდა.

„ცხრა კლასს დაამთავრებენ და სწავლაზე აღარ ფიქრობენ. გოგოებს საერთოდ არ აძლევენ სწავლის საშუალებას. მე ვფიქრობ, რომ განათლება გოგოებს უფრო მეტად სჭირდებათ, რომ დამოუკიდებლად თავი ირჩინონ. მაგალითად, ცოლ-ქმარი რომ შორდება, ბიჭი მშენებლობაზე წავა და იმუშავებს, გოგომ რა ქნას? – მშობლების სახლში ზის და ვერაფერს აკეთებს. გოგოს უნდა ჰქონდეს თავისი საქმე, რომ სხვაზე დამოკიდებული არ იყოს.

ქართული კარგად არ ვიცით. მთავრობის ხალხი რომ მოდის, კითხულობს, ვინ არის ნასწავლი, რომ დასაქმდესო. ჩვენი შვილები კი არც ერთი არ არიან დიპლომიანი.“

სოფელი ბაღის გარეშე

სახელმწიფო ენის სწავლას შოროხელი ბავშვები სკოლაში იწყებენ. ოჯახებში ხუნძურ დიალექტზე საუბრობენ, საბავშვო ბაღი კი სოფელს არ აქვს. ბოლო ორი წელია მხოლოდ სკოლისთვის მოსამზადებელი კლასი აქვთ, სადაც ბავშვებს ხუთი წლის ასაკიდან იღებენ.

შოროხის სკოლის ყოფილი დირექტორი, 70 წლის მაგომედ რასულოვი ერთადერთი ადგილობრივია, ვინც სოფლის სკოლაში ასწავლის. 48 წლის სტაჟის მქონე პედაგოგი იხსენებს, რომ ადრე სკოლა ავარული იყო, შემდეგ რუსულად გადაკეთდა, ახლა ქართულია. მაშინ ახალგაზრდები, ცხრა კლასის შემდეგ, რუსეთში აგრძელებდნენ სწავლას, მერე კი სოფელს უბრუნდებოდნენ. მაგომედი გვიხსნის, რომ ბავშვებმა ახლა არც ერთი ენა აღარ იციან ისე, რომ გამოცდების ჩაბარება შეძლონ.

„აქაური ბავშვები ხომ ქართულენოვანები არ არიან და ქართველებისნაირად ვერ ჩააბარებენ გამოცდებს. მეც გესაუბრებით ქართულად, მაგრამ ჩემი და თქვენი ქართული ხომ განსხვავდება? აი, მე ხომ პენსიონერი ვარ, მუდმივი ხომ არა ვარ, როცა წავალ, არავინ რჩება სკოლაში ადგილობრივი. მშობლებმა და სკოლამ ერთად უნდა იზრუნონ, რომ ბავშვები სწავლით დაინტერესდნენ“.

ავარებს სწავლაზე უარის თქმის სხვა მიზეზიც აქვთ – მძიმე სოციალური ფონი და სიღარიბე აიძულებთ, სწავლას მუშაობა არჩიონ. შოროხელები მაინც ფიქრობენ, რომ ცვლილებები სოფელში საბავშვო ბაღით უნდა დაიწყოს. ბავშვებს ქართული სკოლაში მისვლამდე ეცოდინებათ, სწავლაც გაუადვილდებათ და განათლების მიღების ინტერესიც გაუჩნდებათ.

ავარები საქართველოში

ავარები, იგივე ხუნძები იბერიულ-კავკასიური ტომია დაღესტანში. აღმსარებლობით სუნიტი მუსლიმები არიან და საქართველოში, ყვარლის რაიონის სამ სოფელში – თივში, ჩანტლისყურესა და შოროხში (ყოფილი სარუსო) ცხოვრობენ.

ხუნძებმა საქართველოში დასახლება მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყეს, ნაწილი კი მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ჩამოსახლდა.

„ავარი ქალები თხოვდებიან ადრეულ ასაკში ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად, ყოველგვარი სამოქალაქო რეგისტრაციის გარეშე; ოჯახში ძალადობა ხშირია, თუმცა დამალული; ავარების კულტურული ღირებულებები, განსაკუთრებით კი ენა საფრთხის ქვეშ დგას“, – ნათქვამია გაეროს ქალთა ფონდის კვლევაში, რომლის თანახმადაც სოციალურ შემწეობაზე ყველაზე მეტი ადამიანი ავარების სამი სოფლიდან, შოროხშია დამოკიდებული.

გაეროს ამავე კვლევის მიხედვით, ავარები ის ეთნიკური უმცირესობაა საქართველოში, რომელსაც ნაკლებად მიუწვდება ხელი პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე.

შოროხიდან, ჯერჯერობით, უმცირესობისთვის განკუთვნილი 1+4 პროგრამითაც არავის უსარგებლია. შამილმა იცის, რომ არსებობს ასეთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მას უმაღლესში ჩაბარებას გაუადვილებს, თუმცა ჯერ 12 კლასი უნდა დაამთავროს. შამილის დედას იმედი აქვს, რომ სოფელში განათლების სტატისტიკა, შესაძლოა, სწორედ მისმა შვილმა შეცვალოს.

მთის ამბები

კახა კალაძე: „ნარკოპოლიტიკის რეფორმაზე პარლამენტი მუშაობს“

თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, პარლამენტმა დაიწყო მუშაობა ნარკოპოლიტიკის რეფორმებზე, – ასე უპასუხა მან ჰუმან რაით ვოთჩის ანგარიშზე დასმულ კითხვაზე.

კალაძის თქმით, ის ორგანიზაციის ანგარიშს არ გასცნობია.

– კვლევას არ გავცნობივარ, მაგრამ რაც შეეხება ნარკოპოლიტიკას, რეფორმები ამ მიმართულებით განსახორციელებელია, რაზეც პარლამენტს დაწყებული აქვს მუშაობა. ჩარჩოებში უნდა მოექცეს ყველაფერი და არ უნდა იყოს ის, რაც, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება. სახელმწიფოს რაღაც რეგულაციები აუცილებლად შემოსაღები აქვს, თორემ მძიმე შედეგს მივიღებთ, – თქვა კალაძემ.

მედიანიუსი

Human Rights Watch-ი საქართველოს ხელისუფლებას ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ მოუწოდებს

Human Rights Watch-ის შეფასებით, საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ზედმეტად მკაცრია. ორგანიზაციამ მოუწოდა ხელისუფლებას, ნებისმიერი სახის ნარკოტიკის პირადი მოხმარებისა და პირადი მოხმარების მიზნით მცირე ოდენობით შეძენა/შენახვის დეკრიმინალიზაცია განახორციელოს.

Human Rights Watch-მა 13 აგვისტოს გამოაქვეყნა 67-გვერდიანი ანგარიში „სამაგალითო დასჯა: საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები“, რომელშიც შესწავლილია თვითნებური სავალდებულო ნარკოტესტირების პრაქტიკა, იძულებითი საპროცესო შეთანხმებები და დამატებითი, ავტომატურად გამოყენებული სასჯელები, როგორიცაა სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ჩამორთმევა, ან მთელი რიგი პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლების აკრძალვა, რაც ბევრ ადამიანს საარსებო შემოსავლის მოპოვების შესაძლებლობას უზღუდავს.

– ეს არ არის მოწოდება ლეგალიზაციისკენ, რადგან ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და პირადი მოხმარების მიზნით ფლობა შეიძლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად დარჩეს, რისთვისაც სანქციის სახით შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს ჯარიმა. ხელისუფლების მხრიდან მეტი ფოკუსირება უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეფექტიან ღონისძიებებზე, რომლებიც ნარკოდამოკიდებულების პრევენციასა და დაძლევაზე და თანმდევი ზიანის შემცირებაზე იქნება ორიენტირებული, – ნათქვამია Human Rights Watch-ის ანგარიშში.

ანგარიშის თანახმად, ყოველწლიურად პოლიცია თვითნებურად აკავებს ათასობით ადამიანს იძულებითი ნარკოლოგიური ტესტირების ჩატარების მიზნით, თუმცა საშუალოდ, ტესტირებების მხოლოდ 30% აჩვენებს დადებით შედეგს.

ორგანიზაციის განცხადებით, 2012 წლიდან ნარკოპოლიტიკის ნაწილობრივი ლიბერალიზაცია მოხდა.

– საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლის პოლიტიკისა და პრაქტიკის ზოგიერთი ყველაზე მკაცრი კომპონენტი 2006 წელს იყო შემოღებული. 2012 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ ამ პოლიტიკის ნაწილობრივი ლიბერალიზაცია მოახდინა და შეამცირა სისხლის სამართლებრივი სანქციები ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვაზე; ასევე, მიიღო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლითაც ძირითად პრიორიტეტებად საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია განისაზღვრა. ნარკოპოლიტიკის შემდგომ ლიბერალიზაციაზე ასევე დადებითად იმოქმედა საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელმა გადაწყვეტილებებმა. მაგალითად, 30 ივლისის გადაწყვეტილებით გაუქმდა ყველა სახის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მარიხუანის მოხმარებისთვის. საქართველოს მთავრობა ნარკომომხმარებლებს უფასოდ სთავაზობს ოპიოიდური დამოკიდებულების მეტადონით ან სუბოქსონით ჩანაცვლებით მკურნალობასა და ხანმოკლე დეტოქსიკაციისა და რეაბილიტაციის სერვისს. 2012 წლის შემდეგ ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ამ პროგრამების დაფინანსება, – ნათქვამია Human Rights Watch-ის ანგარიშში.

ანგარიში ემყარება 85 სიღრმისეულ ინტერვიუს ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ ადამიანებთან, მათ ადვოკატებთან, ოჯახის წევრებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სხვადასხვა უფლებადამცველ და არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

მედიანიუსი

ფერმერები: „ქვეყანაში იმპორტირებული სათესლე მასალა ხშირად უხარისხოა და არავინ აკონტროლებს“

– ქვეყანაში იმპორტირებული სათესლე მასალა ხშირად უხარისხოა. რაც ყველაზე მთავარია, ამის კონტროლს არავინ არ ახორციელებს, – ასე შეაფასა ხაშურში მდებარე კოოპერატივი „რაჟდენის“ დირექტორმა არჩილ ლურსმანაშვილმა ოქტომბერში დაგეგმილი სიახლე, რომელიც ხორბლის და ქერის კულტურის სავალდებულო რეგისტრირებას გულისხმობს.

არჩილ ლურსმანაშვილი ხაშურში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანა, შეფუთვა, შენახვა, რეალიზაციას ახორციელებს. კოოპერატივის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ქვეყანაში ხარისხიანი სათესლე მასალის პრობლემა ნამდვილად დგას და მთავრობის ეს გადაწყვეტილება მართლაც დროულია.

ასევე ხაშურში მდებარე კოოპერატივი „ბარაქას“ ხელმძღვანელი ზაზა სუხიაშვილი აცხადებს, რომ მთავრობის ინიციატივა მარცვლეული კულტურების სავალდებულო რეგისტრირებასთან დაკავშირებით დროულია და აუცილებელი. მისი შეფასებით, მას შემდეგ, რაც ფერმერი გადაწყვეტდა კონკრეტული კულტურის მოყვანას და თესლს შეიძენდა, მასალა ხან უხარისხო ხვდებოდა, ხან კი სულ სხვა ჯიშის.

კომპანია Agro Solutions Georgia-ს ხელმძღვანელი ირაკლი ჩიქავა განმარტავს, რომ პრობლემა ამ მიმართულებით საქართველოში იდგა და დგას გამომდინარე იქიდან, რომ ფერმერი ყოველთვის არ არის დარწმუნებული იმაში, რას ყიდულობს და რა ხარისხი და რაოდენობა უნდა მიიღოს ამ სათესლე მასალისგან. შესაბამისად, სერთიფიცირება და რეგისტრაციის წესის შემოღება პირველ რიგში მიაწოდებს ინფორმაციას ფერმერს იმის თაობაზე, თუ რომელ სათესლე მასალას მოიხმარს.

გარდა ამისა, იმოქმედებს ხარისხსა და მოსავლიანობაზე როგორც ქერის, ასევე ხორბლის შემთხვევაში.

კითხვაზე, დღეს კონტროლდება თუ არა ის სათესლე მასალა, რომლის იმპორტიც ხორციელდება, ჩიქავა განმარტავს, რომ იმპორტირებულ პროდუქციას ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი მოყვება და „აქ ძირითადად აქცენტი საქართველოში წარმოებულ თესლსა და სათესლე მასალაზე კეთდება.

როგორც ცნობილია, რამდენიმე კულტურის სათესლე მასალა სავალდებულო სერტიფიცირებას დაექვემდებარება. ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ოქტომბრიდან ხორბლის და ქერის კულტურა სავალდებულო რეგისტრირებას დაექვემდებარება.

– მომხმარებლისთვის ხარისხიანი სათესლე მასალა უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ბოლო წლებში ამ კუთხით გვაქვს წინსვლა. მომავალში ამ სიას სხვა კულტურებიც დაემატება, – განაცხადა მინისტრმა.

საქართველოში 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასი 455 ლარია

Pmcg კვლევითი ცენტრი საქართველოში სასტუმროს საშუალო ფასებს და სასტუმროს ფასების ინდექსს აქვეყნებს.

2018 წლის ივლისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა 148 ლარი შეადგინა. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასები რეგიონებს შორის სამეგრელო-ზემო სვანეთში – 180 ლარი და აჭარაში – 156 ლარი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ივლისში აღნიშნული რეგიონების 3* სასტუმროების საშუალო ფასმა, ბოლო ათი თვის (ოქტომბერი – ივლისი) მაქსიმუმს მიაღწია. ივლისის თვეში, 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა ქვემო ქართლი – 89 ლარი და იმერეთი – 110 ლარი.

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა ივლისში 254 ლარი შეადგინა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასები სამცხე-ჯავახეთში – 297 ლარი და კახეთში – 289 ლარი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ივლისში, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა, ბოლო ათი თვის მაქსიმუმს მიაღწია. ივლისის თვეში 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა სამეგრელო-ზემო სვანეთი – 155 ლარი და იმერეთი – 219 ლარი

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივლისში 455 ლარი შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 518 ლარი შეადგინა, სამცხე-ჯავახეთში – 443 ლარი, აჭარაში – 432 ლარი, ხოლო კახეთში – 408 ლარი. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში, ბოლო ათი თვის მაქსიმუმს მიაღწია. თბილისში ბოლო ათი თვის განმავლობაში, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს ყველაზე მაღალი საშუალო ფასი ოქტომბერში დაფიქსირდა, ხოლო კახეთში – ივნისში.

საოჯახო ტიპის სასტუმროების საშუალო ფასმა ივლისის თვეში 72 ლარი შეადგინა. ივლისში, ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში ქვემო ქართლში – 148 ლარი და აჭარაში – 92 ლარი დაფიქსირდა. ივლისის თვეში, აჭარის საოჯახო ტიპის სასტუმროს საშუალო ფასმა ბოლო ათი თვის მაქსიმუმს მიაღწია, ხოლო ქვემო ქართლში, აღნიშნულ პერიოდში, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი 2017 წლის ნოემბერში დაფიქსირდა. საოჯახო ტიპის სასტუმროებს შორის ყველაზე დაბალი საშუალო ფასები დაფიქსირდა იმერეთში – 58 ლარი და კახეთში – 62 ლარი.

სასტუმროების ფასების ინდექსი

სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის ივლისში, ივნისის თვესთან შედარებით, 2.7%-ით გაიზარდა. სასტუმროების სტანდარტული ორადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად აჭარაში – 10.1%-ით და სამცხე-ჯავახეთში– 5.9%-ით გაიზარდა. აჭარაში სასტუმროების ფასების ზრდა, ძირითადად, ქობულეთის (13%) და ბათუმის (10%) სასტუმროების ფასების ზრდამ განაპირობა. სამცხე-ჯავახეთის სასტუმროების ფასების ზრდა ძირითადად განაპირობა ბორჯომის სასტუმროების ფასების ზრდამ (18.3%), აღსანიშნავია, რომ ბაკურიანში სასტუმროების ფასები შემცირდა (-2.5%). საქართველოს ათ რეგიონს და თბილისს შორის, 2018 წლის ივლისში, ივნისის თვესთან შედარებით, სასტუმროს ფასები მხოლოდ თბილისში შემცირდა – 1.2%-ით. 2018 წლის ივლისში, ივნისის თვესთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 2.7%-ით გაიზარდა;

3, 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის ივლისში, ივნისთან შედარებით, 2.9%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად აჭარაში – 13.8%-ით და სამცხე-ჯავახეთში – 8.9%-ით გაიზარდა. 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების კლება მხოლოდ თბილისსა და კახეთში დაფიქსირდა, შესაბამისად -2.1% და -0.6%.

საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები ივლისში, ივნისის თვესთან შედარებით 3.2%-ით გაიზარდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად აჭარაში და რაჭაში გაიზარდა, შესაბამისად, 4.7% და 4.6%-ით. აღნიშნული ტიპის სასტუმროებში, ივლისში, ივნისთან შედარებით, ფასები მხოლოდ გურიაში შემცირდა – 0.7%-ით.

Tripadvisor – სასტუმროები და რესტორნები

Tripadvisor-ზე საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების დედაქალაქებს შორის, ყველაზე მეტი განთავსების საშუალება მოსკოვშია დარეგისტრირებული – 2.843 ობიექტი, თბილისში Tripadvisor-ზე დარეგისტრირებული განთავსების საშუალებათა რაოდენობა 1.618-ს შეადგენს, აღნიშნული მოსკოვის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. Tripadvisor-ზე დარეგისტრირებული აზერბაიჯანის, სომხეთის და თურქეთის დედაქალაქების განთავსების საშუალებათა რაოდენობა კი შემდეგნაირად ნაწილდება: ბაქო – 456, ერევანი – 436, ანკარა – 364.

Tripadvisor-ზე საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების დედაქალაქებს შორის, ყველაზე მეტი რესტორანი, სასტუმროების მსგავსად, მოსკოვშია დარეგისტრირებული – 12.469, შემდეგ მოდის ანკარა – 3.330, თბილისი -906, ერევანი – 678 და ბაქო – 669. საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების დედაქალაქებს შორის, თბილისი ერთადერთია, სადაც Tripadvisor-ზე დარეგისტრირებული განთავსების საშუალებათა რაოდენობა აღემატება რესტორნების რაოდენობას.

კომერსანტი

ცნობილია, რა თანხას დახარჯავს სახელმწიფო საპრეზიდენტო არჩევნებზე

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 10 აგვისტოს დადგენილების მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთვის სახელმწიფოს მიერ 42,667,518 ლარი გამოიყოფა. ამის შესახებ ბიზნესპრესნიუსი წერს.

აქედან 32,127,177 ლარი არჩევნების ჩატარებას მოხმარდება. არჩევნებისთვის მოხელეთა გადამზადებისთვის 1,190,617 ლარი დაიხარჯება. საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯი კი 2,111,674 მილიონი ლარი იქნება.

ამასთან, დადგენილების თანახმად, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსებისთვის 7,238,050 ლარია გათვალისწინებული.

მიმდინარე წლის 8 იანვარს, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ ცესკო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე 39.136.784 ლარს დახარჯავდა.

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს გაიმართება.

კომერსანტი

ირაკლი კობახიძე: „ლართან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს მუდმივი კონსულტაციები მთავრობასთან“

– ლართან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს, რა თქმა უნდა, მუდმივი კონსულტაციები მთავრობასთან, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. მათ აქვთ სათანადო გეგმა იმისათვის, რომ უზრუნველყონ სტაბილურობა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს მიზანი იქნება მიღწეული, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე თქმით, მიუხედავად საერთაშორისო დონეზე არსებული უარყოფითი ფაქტორებისა, ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკით ლარის სტაბილურობა უზრუნველყოფილი იქნება.

– არის არაერთი გარემოება საერთაშორისო დონეზე, რომელიც, ასე ვთქვათ, ქმნის გარკვეულ უარყოფით ტენდენციებს, თუმცა, დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი სწორი პოლიტიკის შედეგად, სტაბილურობა იქნება უზრუნველყოფილი და ასევე, იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო ტენდენციებიც იქნება ჩვენთვის სახარბიელო, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კომერსანტი

გომბორის ავარიის მონაწილე მძღოლს 8 წელი მიესაჯა

გომბორის უღელტეხილზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე, რომელსაც 4 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მძღოლს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების და ექსპლუატაციის წესის დარღვევაში, რამაც ოთხი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ბრალდებული ბ.კ. დამნაშავედ ცნო „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276-ე მუხლის 1-ელი, მე-3 და მე-7 ნაწილებით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 9 ივნისს, დაახლოებით 11:20 საათზე ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზაზე ბ.კ.-მ, რომელიც „დოჯი სპრინტერის“ მარკის ავტომობილს მართავდა და ექსკურსიაზე მიმავალი სკოლის მოსწავლეები და მათი ახლობლები გადაჰყავდა, სოფელ თეთრიწყლების მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობის დროს დაარღვია მოძრაობის წესები.

მოსახვევში გადაჭარბებული სიჩქარის გამო შესვლისას ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხოდ მართვა, რის შედეგადაც ავტომანქანა გადავიდა გზიდან, შეეჯახა გზის დამცავ ჯებირს და ჯერ მცირე ზომის კლდეზე, შემდეგ კი საავტომობილო გზაზე გადავარდა.

სამართალდამცველებმა მიკროავტობუსის მძღოლი იმავე დღეს დააკავეს.

გიორგი ჭანტურიასთვის შეფარდებული პატიმრობა ადვოკატმა სააპელაციოში გაასაჩივრა

გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ჭანტურიასთვის შეფარდებული პატიმრობა დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჭანტურიას ადვოკატმა ანა კეკენაძემ განუცხადა, ჭანტურიასთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების განჩინება სამარცხვინოა და დაცვის მხარე ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება.

მისივე თქმით, მოსამართლეს არც ერთი საფრთხე, რის გამოც მკაცრი აღკვეთის ღონისძიება გამოიყენა, მტკიცებულებებით არ აქვს გამყარებული.

– რუსთავის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა სამარცხვინო და ისეთი გადაწყვეტილება, რაც არის მაგალითი იმისა, როგორი არ უნდა იყოს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით განჩინება. იმ საფრთხეებიდან, რომლებიც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი უნდა იყოს, არც ერთ საფრთხეზე არც ერთი საფუძველი არ აქვს მოსამართლეს გამყარებული არანაირი მტკიცებულებით. მიმალვის საფრთხეზე პროკურატურის პოზიციას საერთოდ არ დაეთანხმა, მტკიცებულებების განადგურების საფრთხე კი მხოლოდ ორი სიტყვით შეაფასა – ეთანხმება პროკურატურის პოზიციას. რატომ ეთანხმება, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ეთანხმება, არავითარი სამართლებრივი არგუმენტაცია ამაზე არ აქვს მოყვანილი, – განაცხადა ანა კეკენაძემ.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობასა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში ბრალდებულ გიორგი ჭანტურიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 10 აგვისტოს შეუფარდა.

ხულოში მიკროავტობუსი ხევში გადავარდა – დაშავდა 4 ადამიანი

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ხულოში – მთა თეთრობთან მიკროავტობუსი ხევში გადავარდა, დაშავდა 4 ადამიანი.

დაშავებულები სხვადასხვა სახის დაზიანებებით ხულოს რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს, მოგვიანებით კი ორი მათგანი ბათუმის კლინიკაში გადაიყვანეს.

მედიკოსების ინფორმაციით, დაშავებულების მდგომარეობა სტაბილურია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

ბათუმში ავტომობილი ქვეითად მოსიარულე ცოლ-ქმარს დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ბათუმში – მსუბუქი ავტომობილი ქვეითად მოსიარულე ცოლ-ქმარს დაეჯახა. დაშავებულები სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

ერთ დაშავებულს დაზიანება თავის არეში აღენიშნება, მეორეს კი კიდური აქვს მოტეხილი. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ამირან დევნოზაშვილი, რომელსაც სვანეთში 8 შვილი სახლში ჰყავდა ჩაკეტილი, დააკავეს

ის წარდგენილ ბრალს არ აღიარებს

დაახლოებით ორი კვირის წინ სამართალდამცავებმა სვანეთში ერთი მამაკაცი დააკავეს, საუბარია მამაზე, რომელსაც 8 შვილი სახლში ჰყავდა ჩაკეტილი.

ამირან დევნოზაშვილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის საფუძველზე დაიჭირეს. აღნიშნული მუხლი იძულებას გულისხმობს.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მამას 8 შვილი სახლში ჰყავდა ჩაკეტილი, იანვარში გავრცელდა.

გუშინ, 13 აგვისტოს, შსს-მ ამირან დევნოზაშვილის საქმესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

უწყების ინფორმაციით, გამოძიების მიმდინარეობის პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. ამასთან, შსს-ს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ექსპერტიზის დასკვნის მიღებისთანავე, 28 ივლისს, პროკურატურამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ამირან დევნოზაშვილის დაკავების შესახებ.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოჯახის წევრების (მათ შორის არასრულწლოვანი შვილების) მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტზე 1971 დაბადებული ამირან დევნოზაშვილი დააკავა.

2018 წლის 29 იანვარს, მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ლენტეხის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ამირან დევნოზაშვილის მიერ ოჯახის წევრების (შვილების) მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 150-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. გამოძიების მიმდინარეობის პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

ექსპერტიზის დასკვნის მიღებისთანავე, 28 ივლისს, პროკურატურამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ამირან დევნოზაშვილის დაკავების შესახებ. სასამართლოს განჩინებით ამირან დევნოზაშვილი დაკავებული იქნა შვილების მიმართ განხორციელებული იძულების ბრალდებით სისხლის სამართლის კოდექსის სსკ-ის 11 პრიმა 150-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 18 თვემდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ითვალისწინებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საკითხი მეტად სენსიტიურია და ეხება ბავშვებს, რომელთა ინტერესების გათვალისწინებაც სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტია, სამინისტრო თავს იკავებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების გასაჯაროებისგან და ასევე მოუწოდებს საზოგადოებას, განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ ამ საკითხს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

* * *

ამირან დევნოზაშვილი წარდგენილ ბრალს არ აღიარებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ამირან დევნოზაშვილის ადვოკატმა გოჩა კილასონიამ განუცხადა.

დევნოზაშვილს იძულების მუხლით ბრალი უკვე წარედგინა და მას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაც შეუფარდა. ადვოკატის ინფორმაციით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მან სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მისი საჩივარი დაუშვებლად ცნო.

– ის არ აღიარებს ბრალს. არც დუმილის უფლებას იყენებს. დევნოზაშვილი გამოძიებას არ დაუკითხავს. საქმეში მთავარი მტკიცებულებები არის სოციალური მუშაკების ჩვენებები, რომ თითქოს ამირან დევნოზაშვილი არ უშვებს ბავშვებს სახლიდან და თითქოს მაგის გამო არ დადიან ბავშვები სკოლაში. თავად კი მიიჩნევს, რომ ეს არავითარი მტკიცებულება არ არის. ზოგადად, საქმე მოცულობითია, 13 ტომიანია, – განაცხადა გოჩა კილასონიამ.

ადვოკატის ინფორმაციით, ამირან დევნოზაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და მის ციხის საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვს.

ამირან დევნოზაშვილს დიაბეტის დიაგნოზი დაუდგინდა და მას სისხლში შაქრის მაღალი შემცველობა აქვს. ამასთან, გოჩა კილასონიას ინფორმაციით, ამირან დევნოზაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის, მათ შორის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შემოწმების მიზნით, 13 აგვისტოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე გადაიყვანეს.

– ის გადაყვანილია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე. მანამდე მე მოვითხოვე ციხის საავადმყოფოში გადაყვანა, რადგან მას შაქარი აქვს მაღალი და, შესაძლოა, კომაში ჩავარდნილიყო.

ბრალდებული დიაბეტითაა დაავადებული. მივმართე ექიმს, გადაეყვანათ საავადმყოფოში და იქ ემკურნალათ, თუმცა მიპასუხეს, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს საჭიროება მისი გადაყვანის. ამ დროისთვის ამირან დევნოზაშვილს შესაბამისი მედიკამენტოზური მკურნალობა უტარდება, თუმცა თავად მიიჩნევს, რომ ნემსებით მკურნალობა უფრო შედეგიანი იქნება, – განაცხადა გოჩა კილასონიამ.

ესპანეთში ორი ქართველი კანონიერი ქურდი დაიჭირეს

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ვლადიმერ ბორცვაძემ ესპანეთში დაკავებული ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტების“ შესახებ ისაუბრა.

ქართველი და ესპანელი სამართალდამცველების მიერ რამდენიმე დღის წინ ერთობლივად ჩატარებული კიდევ ერთი წარმატებული სპეცოპერაციის – „კუში 3“-ის შედეგად დაკავებულია 2 ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი.

ესპანეთის ქალაქ მარბელიაში განხორციელებული სპეცოპერაციის დროს სამართალდამცველებმა 11 პირი დააკავეს, მათ შორის 2 ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტია“: 1978 წელს დაბადებული დ.ქ. (იგივე ი.ფ.) და 1989 წელს დაბადებული ღ.ბ. (მეტსახელად „ჭია“).

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული ქართველი კრიმინალური ავტორიტეტები აქტიურად იყვნენ ჩართული კრიმინალურ საქმიანობაში. მათ გამოძიება ესპანეთის სსკ-ს 515-ე, 390-ე და 141-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, რაც დოკუმენტების გაყალბებას, კრიმინალურ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობას და მკვლელობის მცდელობის მიზნით შეთქმულებას გულისხმობს. დაკავებული ქართველები ესპანეთის კანონმდებლობის თანახმად გასამართლდებიან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას, რომლის მიზანია ქვეყანაში ქურდული სამყაროსა და მასთან დაკავშირებული კრიმინალური მენტალიტეტის აღმოფხვრა.

ღუდუშაურის კლინიკაში მშობიარე გარდაიცვალა

ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში თბილისში მშობიარე ქალის გარდაცვალების ფაქტზე ოფიციალური განმარტება გაკეთდა.

სამედიცინო დაწესებულებაში ამბობენ, რომ 35 წლის ქალი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში შეიყვანეს, მას 4 ლიტრი სისხლი ჰქონდა დაკარგული.

– შპს „ნინოდან“ ღუდუშაურის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში პაციენტი კრიტიკულ მდგომარეობაში იქნა გადმოყვანილი, შემოსვლისას დაისვა დიაგნოზი – ფარული სისხლდენა, ჰემორაგიული შოკი.

შემოსვლიდან 8 წუთში პაციენტი საოპერაციო ბლოკში იქნა აყვანილი, ჩატარდა ოპერაცია, ინტრაოპერაციულად მუცლის ღრუში აღმოჩნდა დაახლოებით 4 ლიტრამდე სისხლი, მშობიარობის შედეგად გამოწვეული საშვილოსნოს გახევა. ჩატარებული ოპერაციული მკურნალობისა და რეანიმაციული ღონისძიებების მიუხედავად, მასიური სისხლის დანაკარგის გამო, რაც სიცოცხლესთან შეუთავსებელი იყო, პაციენტი გარდაიცვალა.

35 წლის პაციენტმა შპს „ნინოს“ 10 აგვისტოს 15:00 საათზე მიმართა, 19:45 წუთზე ფიზიოლოგიურად იმშობიარა, რაც კლინიკის ფორმა 100-შიც დაფიქსირებულია, 22:00 საათზე დაუფიქსირდა დაბალი წნევა და საერთო სისუსტე და ღუდუშაურის კლინიკაში 00:35 წუთზე კრიტიკულ მდგომარეობაში შეიყვანეს, – განაცხადა კლინიკის წარმომადგენელმა თათა ქაჩიბაიამ.

* * *

თბილისში, სამშობიარო სახლ „ნინოში“ მშობიარე ქალის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

როგორც უწყებაში აცხადებენ, მშობიარე ქალის გარდაცვალების მიზეზის დადგენის მიზნით მიმდინარეობს ექსპერტიზა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. დანაშაული 2-4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მომხდარის შემდეგ სამშობიარო სახლში არსებული მდგომარეობით სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო დაინტერესდა. სააგენტო სასამართლოს სამშობიარო სახლში „ნინო“ შესვლის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს.

სამშობიარო სახლში „ნინო“ მშობიარობის შემდეგ 35 წლის ქალი 10 აგვისტოს გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, ქალს მშობიარობიდან ორი საათის შემდეგ სისხლდენა დაეწყო, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ ის ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

მედიანიუსი

ჯონსონმა ბრიტანეთს აშშ-ის მხარდაჭერისკენ მოუწოდა

აშშ-ის ელჩმა ბრიტანეთში ჯონსონმა ტერეზა მეის მოუწოდა, რომ ირანთან მიმართებაში აშშ-ს მხარი დაუჭიროს.

როგორც ცნობილია, ვაშინგტონმა თეირანის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო. ევროპა ამას არაერთგვაროვნად შეხვდა.

– თუ ბრიტანეთი აშშ-ს მხარს არ დაუჭერს, ეს ინგლის-აშშ-ის სავაჭრო ურთიერთობებზე ნეგატიურად აისახება, – თქვა ჯონსონმა.

კასპიის ზღვა ხუთმა ქვეყანამ გაინაწილა

ყაზახეთის ქალაქ აჰტაუში რუსეთის, ირანის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, ყაზახეთის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ. სამიტის ძირითადი მიზანი კასპიის ზღვის გაყოფა იყო.

მხარეები მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ კასპიის ზღვის წყლები საერთოდ იქნას აღიარებული; რაც შეეხება ფსკერს ან სიმდიდრეებს, ეს ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდება.

თანახმად დადებული შეთანხმებისა, კასპიის ზღვაში აკრძალულია იმ ქვეყნების შეიარაღებული ძალების ყოფნა, რომლებიც კასპიისპირა რეგიონს არ განეკუთვნებიან.

სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა

სომხეთის სააპელაციო სასამართლომ სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი პატიმრობიდან გაათავისუფლა.

სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატის განცხადებით, „სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატების შუამდგომლობა იმის გათვალისწინებით, რომ ქოჩარიანს ხელშეუხებლობის სტატუსი აქვს“.

მან აღნიშნა, რომ „პირი ვერ დაექვემდებარება სისხლისსამართლებრივ დევნას საპრეზიდენტო ვადისას ან მის შემდეგ, თუ მისი ქმედებები მისი სტატუსიდან გამომდინარეობდა“.

28 ივლისს ერევნის საერთო იურისდიქციის სასამართლომ რობერტ ქოჩარიანის დაკავების სანქცია გასცა. ექსპრეზიდენტს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. სომხეთის ყოფილ პრეზიდენტს სომხეთის სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ბრალი წაუყენა 2008 წელს კონსტიტუციური წყობის დამხობაში. მისმა ადვოკატმა განაცხადა, რომ დაცვის მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

სომხეთში, 2008 წლის 19 თებერვალს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საპროტესტო აქციები გაიმართა, რომელთა მონაწილეები სერჟ სარგსიანის საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვებას აპროტესტებდნენ.

ქუჩის აქციები ორგანიზებული იყო ასევე ყოფილი პრეზიდენტის, ლევონ ტერ-პეტროსიანის მხარდამჭერების მიერ, რომელიც იმ დროს საპრეზიდენტო კანდიდატი იყო.

სამართალდამცველებთან შეტაკებების შედეგად მაშინ 8 დემონსტრანტი და 2 პოლიციელი დაიღუპა.

„ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი მძიმედ დაიჭრა

ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი ერაყის საჰაერო ძალების მიერ სირიაში ჩატარებული ოპერაციის შედეგად მძიმედ დაიჭრა.

ამის შესახებ ინფორმაციას ტელეარხი ალ სუმარია ერაყის დაზვერვაში მონაწილე წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი ტერორისტების სამეთაურო შტაბში იმყოფებოდა, როდესაც ერაყის საჰაერო ძალებმა ის დაბომბეს. აღნიშნული ივნისში მოხდა, თუმცა კონკრეტულად როდის და რა ადგილას, ამაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

ტელეარხის ინფორმაციით, მიღებული ჭრილობის შედეგად „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერმა თავისი მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა დაკარგა.

ოფიციალურ ბაღდადს აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.



ესპანეთში კონცერტის დროს ხის კონსტრუქცია ზღვაში ჩავარდა

130 ადამიანი დაშავდა

ესპანეთში, ქალაქ ვიგოში კონცერტის დროს ხის კონსტრუქციის ჩამოშლის შედეგად დაახლოებით 130 ადამიანი დაშავდა.

ინციდენტი 12 აგვისტოს საღამოს, მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში ერთ-ერთი კონცერტის დროს მოხდა.

ხის კონსტრუქციამ ხალხის მასას ვერ გაუძლო და ჩაინგრა, რის შედეგადაც მაყურებელთა დიდი ნაწილი ზღვაში აღმოჩნდა.

დაშავებულები საავადმყოფოებში გადაიყვანეს, მათგან ოთხის მდგომარეობა მძიმეა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ჩინელს iphone-ი მანქანაში აუფეთქდა

ჩინელმა გოგონამ საკუთარი იპჰონე-ს აფეთქება, რომელშიც არც ისე დიდი ხნის წინ აკუმულატორი შეცვალა, ვიდეოზე გადაიღო. ვიდეორგოლი ვიდეოჰოსტინგ Pear Video-ში გამოქვეყნდა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ დადო ავტომობილის საჭესთან მჯდომმა გოგონამ ტელეფონი მანქანის წინა პანელზე. ამ დროს მცირე აფეთქების ხმა გაისმა, სმარტფონიდან წამოვიდა ბოლი, გოგონამ კივილი ატეხა. რამდენიმე წამის შემდეგ კი ტელეფონს ცეცხლი წაეკიდა.

ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარში ნათქვამია, რომ იპჰონე-ში აკუმულატორი მიმდინარე წლის თებერვალში ტექნიკის შემკეთებელმა ერთ-ერთმა ფირმამ შეცვალა. მოგვიანებით გაირკვა, რომ აფეთქება სწორედ უხარისხო აკუმულატორით იყო გამოწვეული.

მელანია ტრამპის მშობლები აშშ-ის მოქალაქეები გახდნენ

ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მეუღლის, მელანიას მშობლებმა აშშ-ის მოქალაქეობა მიიღეს. ამ ინფორმაციას პირველი ლედის მშობლების ადვოკატზე დაყრდნობით ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

ადვოკატმა, რომელიც მელანია ტრამპის მშობლების ვიქტორ და ამალი კნავსების ინტერესებს იცავს, განაცხადა, რომ მათ აშშ-ის მოქალაქეობის მიღების დროს ფიცი დადეს. მანამდე ისინი შეერთებულ შტატებში რეზიდენტების სახით ცხოვრობდნენ.

ვიქტორ და ამალი კნავსები თავიანთ შვილთან ერთად სლოვენიის ქალაქ სევნიცაში ცხოვრობდნენ. ვიქტორ კნავსი ავტომობილების ვაჭრობით იყო დაკავებული, ხოლო მისი მეუღლე ქსოვილების მწარმოებელ ფაბრიკაში მუშაობდა.

ვიქტორ კნავსი 74 წლისაა. ის ორი წლით უფროსია თავის სიძე დონალდ ტრამპზე. ამალია კნავსი კი მეუღლეზე ერთი წლით უმცროსია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

18 წლამდე გოგონები ბოლო ადგილზე გავიდნენ

საქართველოს 18 წლამდე გოგონათა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ასპარეზობა ბოლო ადგილით დაასრულა. ნინო ყიფშიძისა და ზვიად დიდბარიძის გაწვრთნილმა გუნდმა ტურნირის ბოლო მატჩი ბრძოლაში, 52:57 წააგო ნორვეგიასთან.

არადა, უხეიროდ ჩატარებული პირველი პერიოდის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა თამაში გამოასწორა და დაწინაურდა. საწყისი პერიოდი სკანდინავიელთა უპირატესობით – 14:5 დასრულდა, თუმცა ნინო გადელიასა და ნატალია ოთხმეზურის ლიდერობით ჩვენმა ნაკრებმა მეორე ათწუთეული 20:10 მოიგო და დიდ შესვენებაზე 1-ქულიანი ლიდერობით გავიდა.

მე-3 პერიოდში ისევ ნორვეგიელებმა იძალეს, ათწუთეული 16:9 მოიგეს და ბოლო პერიოდის წინ 6 ქულით გალიდერდნენ. მოპოვებული უპირატესობა სკანდინავიელებმა ბოლომდე შეინარჩუნეს. საბოლოოდ ნორვეგიამ 5 ქულის სხვაობით – 57:52 მოიგო და ტურნირზე მოპოვებული მე-2 გამარჯვებით 23-ე ადგილი დაიკავა. სკანდინავიელებმა 1 შეხვედრა ჯგუფურ ეტაპზე, კოსოვოსთან – 78:68 მოიგეს.

ნორვეგიასთან შეხვედრაში 16 ქულით ბომბარდირი გახდა ნინო გადელია, ხოლო ნატალია ოთხმეზურმა 15 ქულა, 10 პასი და 6 მოხსნა მოაგროვა. მარიამ ღარიშვილმა შეხვედრა 4 ქულით, 13 მოხსნით დაასრულა.

ძიუდოისტთა სამი მედალი ბუდაპეშტიდან

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ბუდაპეშტის გრან პრი 3 მედლით დაასრულა. სხვებზე უკეთესი შედეგი უშანგი მარგიანმა (90კგ) აჩვენა, ხოლო ამირან პაპინაშვილი (60 კგ) და ადამ ოქრუაშვილი (+ 100 კგ) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

მარგიანმა შეჯიბრება ეგვიპტელ ჰატემ აბდ ელ ახერთან დაჭიდებით და „ოქროს დროში“ აღებული ვაზარით გახსნა. ვაზარითვე სძლია ჰოლანდიელ იასპერ სმინკსაც. მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში იპონ-იპონ ჩამოიშორა ბელარუსი იაჰორ ვარაპაიუ და პირველ ნომრად განთესილი სერბი ალექსანდრ კუკოლი. საჩემპიონო ბრძოლაში კი მასპინძელთა ჯილას – კრისტიან ტოტს დაეჭიდა და ვაზარით დამარცხდა.

ადამ ოქრუაშვილმა ოქრო-ვერცხლის შანსი მეოთხედფინალში დაკარგა, ჰოლანდიელ როი მეიერთან მარცხით – ქართველ მძიმეწონოსანს მე-4 წუთის დასაწყისში გაფრთხილებების ლიმიტი ამოეწურა. ამ შეხვედრამდე ოქრუაშვილმა 2 სუფთა გამარჯვება მოიპოვა – ჯერ ეკვადორელ ფრედი ფიგეროასთან, ხოლო შემდეგ – ეგვიპტელ აჰმედ ვაჰიდთან.

ბრინჯაოს გზაზე ადამ ოქრუაშვილმა რუსი ძიუდოისტები დაამწუხრა. ტამერლან ბაშაევს ვაზარით აჯობა. რუსლან შახბაზოვს კი „ოქროს დროში“ შესრულებული სუფთა გდებით.

პაპინაშვილმა უნგრულ ტატამზე გამოსვლა მასპინძელ ანდრას ვიდასთვის წუთნახევარში შესრულებული 2 ვაზარით გახსნა. ესპანელ ხუაკინ გომისსაც ვადაზე ადრე მოუმთავრა საქმე. მეოთხედფინალში კი რუსეთის ნაკრების წევრ ალბერტ ოგუზოვთან მტკივნეულით დამარცხდა და რეპეშაჟში გადაერთო. სადაც, ჯერ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონს, მონღოლ ბოლდბაატარ განბატს დაეჭიდა და წუთსა და 50 წამში ორჯერ დააგდო ვაზარიზე. „ბრინჯაოს ფინალში“ კი, ესპანელ ფრანცისკო გარიგოსს სძლია 2 წუთში.

დანარჩენი ქართველებიდან მედალთან ყველაზე ახლოს ლუხუმ ჩხვიმიანი (60კგ) იყო, რომელმაც მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო სხვებს შანსიც არ ჰქონიათ.

კლოპი ჯერ ლივერპულს უყურებს

საფეხბურთო კლუბ ლივერპულის მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი საკუთარ სამომავლო გეგმებზე საუბრობს. ერთ-ერთ გერმანულ საინფორმაციო გამოცემასთან მიცემულ ინტერვიუში, ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ხომ არ განიხილავს იგი ბუნდესნაკრების ხელმძღვანელის რანგში მუშაობის გაგრძელებას, 51 წლის სპეციალისტმა შემდეგი პასუხი გასცა:

– თუკი ოდესმე იქნება შემოთავაზება, რომ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში ვიმუშაო და თუ ამავე დროს თავისუფალიც ვიქნები, აუცილებლად განვიხილავ მსგავს წინადადებას. ახლა ამაზე არ ვფიქრობ. ამჟამად ლივერპულის წინაშე მაქვს აღებული ვალდებულებები და ვაპირებ მომავალი 4 წლის განმავლობაში ჩემი საქმე ვაკეთო. ამას იმიტომ არ ვსაუბრობ, რომ რუსეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიამ ცუდად იასპარეზა, მე უბრალოდ ახლა დაკავებული ვარ.

შეგახსენებთ, გერმანიის ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე სრული ფიასკო განიცადა და ჯგუფური ეტაპის დაძლევაც ვერ მოახერხა. დაფიქსირებული შედეგის შემდეგ, დასავლურ პრესაში სულ უფრო აქტიურად განიხილავენ იოახიმ ლიოვის შემცვლელის საკითხს.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ზივზივაძემ ჰეთთრიკი შეასრულა, ჩიხურამ დარასელია შეინირა

ლოკომოტივი-დინამო 2:4

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1, 0:2 ზივზივაძე (16, 34), 0:3 ივანისენია (39), 0:4 ზივზივაძე (48), 1:4, 2:4 გავაშელიშვილი (54, 77)

ლოკომოტივი: შეროზია, ძებნიაური (დავითაშვილი 46), ჭანტურია, შონია, გავაშელიშვილი, კომახიძე, ინჯგია (არდაზიშვილი 54), ლობჟანიძე, უბილავა, სამურკასოვი (გვალია 71), კობახიძე

დინამო: სიკაჩი, რუხაია, თოთაძე, ლოჩოშვილი, ხარაბაძე, ნინუა (დარცმელია 68), ივანისენია (ქარდავა 48), კობოური (ივანიშვილი 62), შულაია, ვაწაძე, ზივზივაძე

ეროვნული ლიგის მეოცე ტურის შეხვედრაში, თბილისური დერბი გაიმართა, რომელშიც თბილისის დინამომ ლოკომოტივი 4:2 დაამარცხა.

დინამოელები მთელი მატჩის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდნენ. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ დინამოს შემტევების საკმაოდ კარგი მოქმედება შეტევის ფაზაში.

გარდა თბილისური დერბისა, რომელიც ყოველთვის დაძაბულობას იწვევდა, ეს მატჩი ეროვნული ლიგის ბომბარდირთა დავაში მყოფი ფეხბურთელების, ბუდუ ზივზივაძისა და მამია გავაშელიშვილის მინი დუელადაც იქცა. ზივზივაძემ ჰეთ-თრიქი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში გიორგი გაბედავას გაუთანაბრდა, გავაშელიშვილმა კი ორჯერ გაუტანა დინამოს. აღსანიშნავია, რომ გავაშელიშვილმა ბოლო 3 მატჩში დუბლი შეასრულა. ერთი გოლი კი დინამოს უკრაინელი ლეგიონერის, დმიტრო ივანისენიას ანგარიშზეა.

ანგარიში მე-14 წუთზე გაიხსნა. დინამოელთა სწრაფი შეტევა, აკაკი შულაიას ჩაწოდება და ზივზივაძემ მოძრაობაზე დაიჭირა მეტოქის მეკარე და გახსნა ანგარიში. 34-ე წუთზე დინამოს ფორვარდმა ლუკა შეროზიას შეცდომით ისარგებლა და მახვილი კუთხიდან დუბლი შეასრულა. დინამოელებმა ხუთიოდე წუთში ტაბლოზე დიდი ანგარიშით სხვაობა დააფიქსირეს. საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტად ივანისენიამ გაისროლა და ტაიმიც დასრულდა. საგოლე პასი ზივზივაძემ გაუკეთა.

მეორე ნახევრის დებიუტში ივანისენიამ ტრავმა მიიღო და მის ადგილას მოედანზე ბაქარ ქარდავა შევიდა, რომელმაც საგოლე პასი მიითვალა და შეხვედრის 48-ე წუთზე ზივზივაძემ ჰეთ თრიქი შეასრულა.

დინამოს საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, უშანსოდ არც ლოკომოტივი ყოფილა. განსაკუთრებით, შეხვედრის მეორე ნახევარში, ლაშა ჭაღიაშვილის გუნდმა ძალიან მოუმატა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც განახორციელა, მაგრამ დინამოელთა მოლდოველი მეკარე, სტეპან სიკაჩი იყო დამაჯერებელი. ლოკომ მაინც გაიტანა. ზურაბ დავითაშვილის დარტყმა სიკაჩიმ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე პირველი მამია გავაშელიშვილი აღმოჩნდა და ერთი გოლი გაქვითა. ამის შემდეგ თამაშმა ცოტა ინერტული ხასიათი მიიღო და საინტერესო აღარაფერი ხდებოდა, მაგრამ დინამოს მცველების მცირე უყურადღებობა და მამია გავაშელიშვილმა მეორედ აიღო სტეფან სიკაჩის კარი.

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და 50-ე თბილისური დერბი კახი კაჭარავას გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

დილა-ჩიხურა 1:3

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 ბუღრიძე (17), 0:2 გაბედავა (35), 0:3 სანტოსი (90სკ), 1:3 რიბეირო (90)

დილა: ბეგაშვილი, ჩადუნელი, ნონდი, რაზმაძე, (სამუშია 68), რაჟამაშვილი, კორიფაძე, ბაბუ (ჯუფი 46), ლემპტი (გოგუა 46), სანტოსი, თორ.გრიგალაშვილი, რიბეირო

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მირცხულავა, მარკოზაშვილი, მაისაშვილი (დობროვოლსკი 89), გაბედავა, ბუღრიძე (ბუხაიძე 88), კაკუბავა, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, სარდალიშვილი (კახაბრიშვილი 81)

საინტერესო მატჩი გაიმართა გორში. თითქოს მასპინძლები ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ ჩიხურას ევროპული გამოცდილება უმაგრებდა ზურგს და ეს „თენგიზ ბურჯანაძეზე“ დაამტკიცა კიდეც. ზემო იმერლებმა 3:1 მოუგეს მეტოქეს და ცხრილშიც გადაასწრეს.

პირველ ტაიმში ირაკლი ბუღრიძემ და გიორგი გაბედავამ გაუტანეს გიორგი ბეგაშვილს. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კი სცადეს თამაშის შემოტრიალება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

მეტიც, 90-ე წუთზე გორელთა ბრაზილიელი ახალწვეულის სანტოსის ავტოგოლით საჩხერლები 3:0 დაწინაურდნენ, ხოლო კომპენსირებულ დროში საჯარიმოში გოგიტა გოგუა წააქციეს და ლეანდრო რიბეირომ პენალტით პრესტიჟის გოლი გაიტანა.

ჩიხურასთან მარცხის შემდეგ 49 წლის ქართველი მწვრთნელი გიორგი დარასელია დილას მთავარი მწვრთნელის პოსტზე აღარ იმუშავებს. დილას ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებელი მატჩების შემდეგ მიიღო და დარასელიას ადგილს კლუბში მისივე თანაშემწე, გიორგი შაშიაშვილი დაიკავებს.

დილამ ბოლო 4 მატჩიდან 3-ში გამარჯვება ვერ მოახერხა, ხოლო 2 სულაც წააგო.

გიორგი შაშიაშვილი 38 წლის არის, გასულ წელს ქობულეთის შუქურას წვრთნიდა, ხოლო ახალი სეზონიდან დაწყების წინ დილაში მივიდა.

1.საბურთალო	20	16	1	3	41-15	49
2.დინამო	20	14	2	4	44-20	44
3.ჩიხურა	20	11	4	5	34-18	37
4.დილა	19	9	7	3	37-27	34
5.ტორპედო	18	8	3	7	26-18	27
6.ლოკომოტივი	20	6	4	10	25-36	22
7.რუსთავი	19	5	6	8	19-25	21
8.სიონი	20	4	4	12	19-36	16
9.სამტრედია	20	1	6	13	13-35	9
10.კოლხეთი	20	3	5	12	21-49	8

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

ფერგიუსონი საახალწლოდ დაბრუნდება

სერ ალექსის მეგობარმა სემ ელერდაისმა განაცხადა, რომ ფერგიუსონი „ოლდ ტრაფორდზე“ დაბრუნებას ახალი წლისთვის გეგმავს.

მიმდინარე წლის მაისში იუნაიტედის ლეგენდარულმა მწვრთნელმა თავში სისხლჩაქცევა გადაიტანა, თუმცა, საბედნიეროდ, გამოჯანმრთელების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და შოტლანდიელს იმედი აქვს, რომ რამდენიმე თვეში გუნდის მხარდაჭერას უკვე „ოლდ ტრაფორდიდან“ შეძლებს.

სემ ელერდაისი:

– ახლა ის შვებულებაშია და პარალელურად რეაბილიტაციის კურსს გადის. ალექსს რამდენიმეჯერ ვესაუბრე ტელეფონზე და მისი ხმიდან გამომდინარე, თავს მშვენივრად გრძნობს. შესანიშნავი იყო მთელი ამ სირთულეების შემდეგ მისი ხმის გაგონება, იმედი მაქვს, რომ სრულიად გამოჯანმრთელდება. ის ფიქრობს, რომ ახალი წლისთვის შეძლებს „ოლდ ტრაფორდზე“ დაბრუნებას, რათა კვლავ უგულშემატკივროს მანჩესტერ იუნაიტედს.

შედეგები

12 აგვისტო

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ლივერპული-ვესტ ჰემი 4:0
საუთჰემპტონი-ბარნლი 0:0
არსენალი-სიტი 0:2

ესპანეთი. სუპერთასი

სევილია-ბარსელონა 1:2

გერმანია. სუპერთასი

აინტრახტი-ბაიერნი 0:5

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზანდჰაუზენი-ჰამბურგი 0:3
კილი-ჰაიდენჰაიმი 1:1
აუე-მაგდებურგი 0:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

ლიონი-ამიენი 2:0
ბორდო-სტრასბურგი 0:2
პსჟ-კაენი 3:0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

დენ ჰააგი-ემენი 1:2
ვიტესი-გრონინგენი 5:1
გრაფშხაპი-ფეინოორდი 2:0
ალკმაარი-ბრედა 5:0

ჰორვატია. პირველი ლიგა

მარიტიმუ-სანტა კლარა 1:0
ფეირენშე-რიუ ავე 2:0
მორეირენშე-სპორტინგი 1:3
ბრაგა-ნასიონალი 4:2

ჩეხეთი. პირველი ლიგა

ორენბურგი-ლოკომოტივი 1:0
არსენალი-ახმატი 3:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-სიონი 3:2
ლუცერნი-იანგ ბოიზი 2:3
ლუცერნის მე-2 გოლი ვაკო გვილიამ გაიტანა
ციურიხი-სტ.გალენი 0:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

რეინჯერსი-სტ.მირენი 2:0
სტ.ჯონსონი-ჰიბერნიანი 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-ლინცერი 0:1
რაპიდი-ვოლფსბერგერი 0:0
სტ.პოლენი-შტურმი 2:0
ოსტენდე-გენკი 0:2
შარლერუა-ანდერლეხტი 1:2
გენტი-ბევერენი 4:1

თურქეთი. სუპერლიგა

ბაშაქშეჰირი-ტრაბზონი 2:0
ქონია-ერზრუმი 3:2
ბეშიქთაში-აკჰისარი 2:1
გიოზთეფე-მალათია 1:3

ჩეხეთი. 1 ლიგა

სლოვაცკო-სიგმა 3:1
ტეპლიცე-სპარტა 0:4

ჰოლონეთი. ექსტრაჯლასა

პიატი-ლეგია 1:3
ზაგლებიე-იაგელონია 0:2
ლეხი-სოსნოვეცი 4:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლეკსანდრია-არსენალი 1:0
კარპატი-ზორია 0:1
ჩერნომორეცი-დესნა 1:0

დანია. სუპერლიგა

ოლბორგი-ნორდსიელანდი 1:0
კოპენჰაგენი-ბრონდბიუ 3:1
რანდერსი-ორხუსი 0:0
მიდტიულანდი-ჰორსენსი 3:0

შვედეთი. ალსვენსკა

ჰაკენი-დიურგარდენი 5:0
ესტერსტუნდი-კალმარი 2:0
აიკი-ელფსბორგი 1:0

ნორვეგია. ელიტსერია

ბოდო გლიმტი-კრისტიანსუნდი 3:0
მოლდე-ბრანი 5:1
რუსენბორგი-სტაბეკი 1:1
სარპსბორგი-ლილესტრომი 2:0
სტარტი-რანჰეიმი 0:0
ოდ გრელანდი-სტრომგოდსეტი 2:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

კუუპიო-კემი 3:1
ლახტი-ინტერი 0:0
როვანიემი-მარიეჰამნი 1:0

16 წლამდე ნაკრები მეორე ტაიმს ვერ უძლებს

საქართველოს 16 წლამდე ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტარულ, ა დივიზიონში ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი იტალიასთან გამართა და ანგარიშით 55:93 დათმო.

გია კაზანჯიანისა და გელა წულაძის გაწვრთნილმა გუნდმა მატჩის პირველი პერიოდი 19:18 მოიგო და იტალიელებს მეორეშიც ტოლსწორად ებრძოდა. მეოთხედის ბოლოს აპენინელებმა იძალეს და დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 39:32.

შესვენების შემდეგ ვითარება შეიცვალა. მესამე პერიოდი ქართველებისთვის ამჯერადაც პრობლემური გამოდგა. კაზანჯიანის გუნდმა ფარქვეშ ბრძოლა წააგო, ხოლო პერიმეტრიდან იტალიელებს მეტი მიზანი აღმოაჩნდათ. ეს ყველაფერი შედეგზე აისახა და იტალიელებმა 7-ქულიანი ლიდერობა სოლიდურ უპირატესობად აქციეს. მესამე ათწუთეულის 21:10 მოგებით აპენინელებმა დასკვნითი პერიოდის წინ 18-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს და მატჩის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტეს.

შეხვედრა ქართველებმა ინერციით ჩაამთავრეს. ჩვენიანთაგან ვლადიმერ თავაქარაშვილი და ალექსი მერკვილაძე გამოირჩნენ. თავაქარაშვილმა 12 ქულა, 7 მოხსნა და 3 ჩაჭრა მიითვალა, ხოლო მერკვილაძემ 14 ქულას 6 მოხსნა მოაყოლა.

გათამაშების ფორმატის მიხედვით, პლეი ოფში ტურნირის მონაწილე 16-ივე გუნდი გადის, რომლებიც მერვედფინალში დაკავებული ადგილების მიხედვით – ჯვარედინი სისტემით დაწყვილდებიან.

ჩვენი მომავალი მეტოქე ხომ თურქეთი იქნება, რომელიც კაზანჯიანის გაწვრთნილ ნაკრებს 1 თვის წინ, სტამბოლში დამარცხებული ჰყავს. შეგახსენებთ, რომ 13-16 ივლისს საქართველო თურქეთში საერთაშორისო, ამხანაგურ ტურნირზე იმყოფებოდა, სადაც საბერძნეთთან და ესტონეთთან ბრძოლაში დამარცხდა, ხოლო მასპინძლებს 64:61 სძლია.

ევროპის ჩემპიონატზე კი თურქეთმა ც ჯგუფში ხორვატია და საბერძნეთი დაამარცხა, გერმანიასთან კი უმოტივაციო მატჩი წააგო და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. შესაბამისად, ც ჯგუფის პირველადგილოსანი თურქეთი დ ჯგუფში მე-4 ადგილზე გასულ საქართველოს შეხვდება.

ფაროსანასთან ბრძოლამ შედეგი გამოიღო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გატარებული მასშტაბური ღონისძიებების შედეგად, აზიური ფაროსანას პოპულაცია მნიშვნელოვნად შემცირდა.

როგორც უწყების განცხადებაშია აღნიშნული, ქვეყანაში მავნებლის გავრცელების გეოგრაფიული არეალი არ გაზრდილა და ის ამჟამად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ფიქსირდება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასევე ხაზგასმით აცხადებს, რომ სახელმწიფოს მიერ ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარებული ქიმიური წამლობის პარალელურად, მოსახლეობა უნდა ახდენდეს თხილის სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას, რათა არ ჩამოყალიბდეს თხილის გულის სიდამპლე და მიიღოს ხარისხიანი მოსავალი.

– აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად მიმდინარეობს. აღნიშნული სტრატეგია მსოფლიოს წამყვანი და ქართველი სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდა. გატარებული მასშტაბური ღონისძიებების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა მავნებლის პოპულაცია. ქვეყანაში მავნებლის გავრცელების გეოგრაფიული არეალი არ გაზრდილა, მავნებელი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ფიქსირდება.

მოსახლეობის და ფერმერების ის ნაწილი, რომელიც ჩართული იყო როგორც მავნებელთან, ასევე, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში და რომელმაც გაითავისა, რომ შედეგის მისაღწევად, მათი აქტიურობა გადამწყვეტია, წელს თხილის გაცილებით უკეთესი მოსავალი აქვს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აცხადებს, რომ სახელმწიფოს მიერ ფაროსანას წინააღმდეგ ჩატარებული ქიმიური წამლობის პარალელურად, მოსახლეობა უნდა ახდენდეს თხილის სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას, რათა არ ჩამოყალიბდეს თხილის გულის სიდამპლე და მიიღოს ხარისხიანი მოსავალი.

დეზინფორმაციის გავრცელება ფაროსანას წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების არაეფექტიანობის შესახებ, საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მიერ მავნებლის წინააღმდეგ საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული ბრძოლის სტრატეგიის განხორციელებას; ხშირ შემთხვევაში, წინასაარჩევნო, ვიწრო პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით გაკეთებულმა განცხადებებმა, შესაძლოა მოსახლეობაში გააჩინოს აბსოლუტურად უსაფუძვლო უნდობლობა და საფრთხე შეექმნას წამლობის პროცესს, რაც სავალალო შედეგის მომტანი იქნება.

ასევე, იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო მილიონობით ლარს ხარჯავს წამლობის ღონისძიებებში, გონივრულ აზრსაა მოკლებული ფერმერების გარ-

კვეული ჯგუფის მიერ კომპენსაციასთან დაკავშირებული განცხადებები.

აღსანიშნავია, რომ მავნებლის საწინააღმდეგო სამუშაოებისთვის წელს, 2017 წელთან შედარებით, მობილიზებულია 10-ჯერ მეტი სპეციალიზებული ტექნიკა (150 ერთეული) გამოყოფილია გაზრდილი საბიუჯეტო რესურსი.

დღეის მდგომარეობით, სახელმწიფოს მიერ დამუშავებულია 27 მუნიციპალიტეტის 523 სოფელი. თერმული ნისლის გამოყენებით შეწამლულია დაახლოებით 407 ათასი ჰექტარი სოფლების ტერიტორია, ცივი შესხურების ტექნოლოგიით – 37 ათას ჰექტრამდე ფართობი, სატრაქტორე აგრეგატით – 19 ათასამდე ჰექტარი, დიდი წარმადობის აეროზოლური გენერატორით – 4488 ჰექტარი. მავნებლის სასოფლო სამეურნეო კულტურებზე გადასვლის თავიდან აცილების მიზნით, ტყის პერიმეტრებზე, ბუფერულ ზონებში დამონტაჟებულია „მოიზიდე და გააანადგურე“ სადგურები, – ნათქვამია განცხადებაში.

თაიმერი

სტენ კოლიმორი მანჩესტერში არეულობას ხედავს



ინგლისის ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი სტენ კოლიმორი, რომელიც ამჟამად საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, საუბრობს იმ პრობლემებზე რომლებიც სადღეისოდ ინგლისის ყველაზე ტიტულოვან გუნდს, მანჩესტერ იუნაიტედს აქვს. კოლიმორმა ასევე აღნიშნა, რომ მოურინიოს კლუში პრობლემები აქვს და მისი მომავალი არ არის იუნაიტედთან დაკავშირებული.

სტენ კოლიმორი:

– ვფიქრობდი, რომ მოურინიო იუნაიტედში უფრო გაიზრდებოდა, ისწავლიდა ღიმილს და გახდებოდა უკეთესი პოლიტიკოსი. თუმცა, როგორც ჩანს, შევცდი, მას არ შეუძლია გაუმკლავდეს მუდმივ უკმაყოფილებას და თავშეკავებულად იქცევა.

მე რომ ახლა ფეხბურთელი ვიყო, ჯერ ავირჩევდი გვარდიოლას, კლოპსა და პოჩეტინოს, ხოლო შემდეგში სანტუშსა და იოკანოვიჩს. მაშინაც კი, თუ ამ მწვრთნელებთან ერთად ვერ მივაღწევდი წარმატებას, მაინც მათთან ვისურვებდი დარჩენას და მუშაობას, რადგან უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, ვიდრე – მოურინიოსთან.

ბარსელონამ ესპანეთის სუპერთასი მოიგო

ბარსელონამ სეზონის პირველი ტიტული მოიგო – ესპანეთის სუპერთასის მატჩში სევილია 2:1 დაამარცხა.

თამაშის დასაწყისში, ნომინალური მასპინძლები დაწინაურდნენ: ანგარიში პაბლო სარაბიამ გახსნა. ტაიმის ბოლოს კი წონასწორობა ჟერარ პიკემ აღადგინა, რომელმაც ჯარიმის შემდეგ ბურთი ცარიელ კარში შეაგდო. გადამწყვეტი გოლი უსმან დემბელემ მატჩის 78-ე წუთზე გაიტანა.

ტურნირი, რომელიც 32-ედ ჩატარდა, ბარსამ ისტორიაში მეცამეტედ მოიგო, რაც ესპანეთში საუკეთესო შედეგია. კატალონიელები უახლოეს მდევარსა და უშუალო კონკურენტ მადრიდის რეალს უკვე 3 ტიტულით უსწრებენ.

თუმცა, კატალონიელები ამით დაკმაყოფილებას არ აპირებენ. ბარსელონას ერთ-ერთმა ლიდერმა, სერხიო ბუსკეტსმა, სუპერთასის მოგების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ კლუბის ამბიცია უფრო მეტია და ყველაფრის მოგება სურს.

სერხიო ბუსკეტსი:

– ყველაფერი უნდა მოვიგოთ. სუპერთასზე ძალიან ძლიერი გუნდის წინააღმდეგ ვითამაშეთ, რომელიც ჩვენზე უკეთაა შეთამაშებული. დიდი ფიზიკური ძალისხმევა დაგვჭირდა და ბოლოს გაგვიმართლა, რომ მეტოქემ თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. მირჩევნია, ესპანეთის სუპერთასი ერთმატჩიანი იყოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, სტადიონის შერჩევა რთულია.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ასტროპროგნოზი

14 აგვისტოსთვის

ვერძი – დღეს სამსახური თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს, თუმცა გაითვალისწინეთ, წარმატება შესაძლოა მხოლოდ ილუზია იყოს. **ჯარო** – ნებისმიერ საქმეს გაუმკლავდებით, თუ სათანადო შეუპოვრობასა და შრომისმოყვარეობას გამოიჩენთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – დღე აღსავსეა ახალი იმედებით, შეხვედრებით, მოულოდნელი სასიამოვნო ნაცნობობით. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – საეჭვო ადამიანებთან კონტაქტი ცუდ შედეგს გამოიღებს. ხელგაშლილობა და არაეკონომიურობა თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. **ლომი** – ვარსკვლავები მშვიდ და ჰარმონიულ ოჯახურ ურთიერთობას გპირდებიან. ქალებს, სავარაუდოდ, ახალი თაყვანისმცემელი გამოგიჩნდებათ. **ქალწული** – შინაგანად აფორიაქებული ხართ. საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტებით. უახლოეს მეგობარს გული გადაუშალეთ და უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლდით. **სასწორი** – ერიდეთ მატყუარებს. ქრონიკული ავადმყოფობები მწვავდება. სამსახურშიც პრობლემებია მოსალოდნელი, თუმცა სერიოზულ კონფლიქტამდე საქმე არ მივა. **ღრიანკალი** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება. **მშვილდოსანი** – იყავით ფრთხილი და თავშეკავებული. ემოციები მოთოკეთ და ნებისმიერი შემოთავაზებული წინადადება გულმოდგინედ აწონ-დაწონეთ. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. უფროსობასთან კონფლიქტი გელით. შესაძლოა, სამსახურსაც კი დაემშვიდობოთ. აუცილებელია, მოვლენები რეალურად შეაფასოთ. **მერწყული** – დღის დევიზია ეკონომია და წინდახედულობა. ფულის ფლანგვა არასასურველ შედეგებამდე მიგიყვანთ. **თევზები** – პასიური დღეა. ნუ დაგეგმავთ შეხვედრას მეგობრებთან. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 2. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკებების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 3. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 4. ჰოლანდიური ყველი; 5. თავხედი, უსირცხვილო ადამიანი; 8. მეთუნეობის ხელოვნება; 12. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 13. კარსტული მღვიმე იმერეთში; 14. ინდიელთა ვიწრო, გრძელი ნავი; 16. კბილების დაავადება; 18. ორსართულიანი ლაზური სახლი; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში.

თარაზულად: 6. ფართო ფარფლებიანი ესპანური ქუდი; 7. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 8. ვაშლის ქართული ჯიში; 9. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 10. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 11. ფილატელისტის ალბომი; 15. გულის ცემის აჩქარება; 17. პოემა „გველის მჭამელის“ პერსონაჟი; 19. პატეფონის ერთ-ერთი სახეობა; 21. ამერიკული ჟურნალი; 22. სამხედრო გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი პირი; 23. დიპლომატიური წარმომადგენელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ინდიგო; 5. მაკარონი; 6. კირხე; 7. აპარატი; 8. ათლეტი; 10. „სარკე“; 13. ნაგანი; 15. ლუსტრა; 16. დარი; 17. პიცა; 20. ნადირი; 21. პიმები; 22. კალვილი; 23. იქედნე.

შვეულად: 1. დიზაინი; 2. ნაფთალინი; 3. პირამიდა; 4. იმპორტი; 5. მარანი; 9. ტატამი; 11. კადრილი; 12. პარადი; 14. გრანული; 18. ალალი: 19. სირია.

სკანვორდის პასუხები:

1. ძუა; 2. ხმა; 3. რომი; 4. უხა; 5. მორფემა; 6. ამტანი; 7. ტარაბუა; 8. აქტი; 9. იიპე; 10. ფხა; 11. ჩაი; 12. მონარქი; 13. პარამარიბო; 14. ჰარპია; 15. პენ; 16. ოსაკა; 17. კონტაქტი; 18. მოჰიკანი; 19. პროსტატა; 20. კამუფლაჟი; 21. ფარაონი; 22. ჟენევა; 23. ისინდი; 24. პაემანი; 25. აია; 26. ბუი; 27. არ; 28. ვარდი; 29. მარაბუ; 30. მთა; 31. ნაბლა; 32. ალური.

სურათებზე: ჯულია ორმონდი; რობერ პირესი.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

მშიშარა გერმანელმა ციყვს უჩივლა

გერმანიის ქალაქ კარლსრუეს მცხოვრებმა პოლიციაში საჩივარი ციყვის წინააღმდეგ შეიტანა, რომელიც, მისი თქმით, მას დევნიდა.

როდესაც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მასთან სახლში მივიდნენ, მათ იქ მძინარე ციყვი დახვდათ. გაირკვა, რომ ის პატარა იყო და, სავარაუდოდ, დედა დაკარგა.

– ხშირია შემთხვევები, როდესაც ციყვები დედას კარგავენ, ისინი მათ შემცვლელს ეძებენ. შემდეგ კი მთელი თავიანთი ძალისხმევა ერთ ადამიანზე გადააქვთ, – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის პრესმდივანმა კრისტინა კრენცმა. მან დააზუსტა, რომ პატარა ციყვები ძალიან ჯიუტები არიან და ისინი არა მხოლოდ ვინმეს მისდევენ, არამედ ცდილობენ მუდმივად მათ გვერდით იყვნენ.

მამაკაცის საქციელის განმარტების დროს კრენცმა აღიარა, რომ მას ეს სახიფათოდ მოეჩვენა, არ იცოდა რა გაეკეთებინა და ამიტომ პოლიცია გამოიძახა.

ციყვი დაიჭირეს და ცხოველთა დაცვის ცენტრში გადაიყვანეს.

საფრანგეთში ყვავებს ტერიტორიის დასუფთავება ასწავლეს

საფრანგეთში თემატური პარკის ადმინისტრაციამ ექვს ყვავს ისტორიული ნაკრძალის ტერიტორიაზე ძირს დაყრილი ნაგვის შეგროვება ასწავლა.

ყვავები აგროვებენ ნამწვავებს და წვრილმან ნაგავს. ნარჩენები მათ სპეციალურ ყუთთან მიაქვთ, რომელიც მათ შესრულებული სამუშაოსთვის ავტომატურად ნუგბარით უმასპინძლდება.

პარკის ხელმძღვანელმა ნიკოლია დე ვირმა განაცხადა, რომ ამ აქციის არსი უფრო გასართობია.

– მის მიზანს არა მხოლოდ სისუფთავის დაცვა წარმოადგენს, ვინაიდან, როგორც წესი, მისი დამთვალიერებლები თავადვე ცდილობენ დაიცვან სისუფთავე, – შენიშნა მან. ფრინველების დიდი ნაწილი, რომლებიც პარკში ბინადრობენ, ადამიანებთან ადვილად მიდიან კონტაქტზე და საკუთარ დამოკიდებულებას გარშემომყოფთა მიმართ თამაშის ფორმით გამოხატავენ.

პიუი-დიუ-ფუ ისტორიული ატრაქციონების პარკს წარმოადგენს. ყოველწლიურად მას ორ მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობს.

კიმ კარდაშიანმა კაილი ჯენერი მისსავე დაბადების დღეზე დაჩრდილა

საკუთარ 21-ე დაბადების დღეს პოპულარული ტელეწამყვანი, ბიზნესვუმენი და ახალგაზრდა დედა კაილი ჯენერი რამდენიმე დღის განმავლობაში აღნიშნავდა. საზეიმო საღამოებს უამრავი სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის იუბილარის დები.

აღსანიშნავია, რომ კაილი ჯენერმა დაბადების დღის აღსანიშ-

ნავად თავისი გოგონაც წარმოადგინა, ისაუბრა უმთავრეს საჩუქარზე, შემდეგ კი სურათებიც უხვად გადაიღო. იუბილარის ღონისძიებას, რა თქმა უნდა, მისი დები – კორტნი, კიმი და ქლოე კარდაშიანები ესწრებოდნენ, ასევე კენდალ ჯენერი.

სადღესასწაულო საღამოზე კარდაშიანი-ჯენერის ოჯახის წევრი გოგონები მოდურად გამოწყობილები წარდგნენ, ხოლო ერთ-ერთი მათგანი ყველაზე მეტად იპყრობდა ყურადღებას. რა თქმა უნდა, დებს შორის განსაკუთრებულად კიმ კარდაშიანი გამოიყურებოდა.

წვეულებისთვის მან ღია ვარდისფერი კაბა შეარჩია ღრმა დეკოლტით და მოშიშვლებული მუცლით. სამოსი ტელევარსკვლავის წონადაკლებულ ფიგურას, მკერდსა და გრძელ ფეხებს უსვამდა ხაზს.

მისი უამრავი თაყვანისმცემელი დარწმუნებულია, რომ კანიე უესტის მეუღლემ დღესასწაულზე ყველა თავისი და დაჩრდილა, მათ შორის, თავად იუბილარიც, მიუხედავად იმისა, რომ მთელი საღამოს განმავლობაში მან ბევრჯერ გამოიცვალა სამოსი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ციხე-სოფელ დიკლოს ეროვნული კატეგორია განესაზღვრა

თუშეთში მდებარე ციხე-სოფელ დიკლოს და 9 ციხე-სოფელსა და ნასოფლარს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის შესაბამისი ბრძანებით ეროვნული კატეგორია განესაზღვრა.

ციხე-სოფელი ძველი დიკლო, რომელიც ამჟამად მიტოვებულია, სოფელ დიკლოს აღმოსავლეთითაა, სოფლიდან ორიოდე კილომეტრის მანძილზე. სამანქანო გზა სოფელ დიკლოსთან წყდება. აქედან კი, ნასოფლარისაკენ საცალფეხო ბილიკი მიემართება. საკუთრივ ნასოფლარი მაღალი, კლდოვანი მთის ერთ-ერთ განშტოებაზეა განლაგებული. სტრატეგიულად მეტად მოსახერხებელ ადგილას. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხრიდან მას დიდი, ფრიალო კლდეები ესაზღვრება და სრულიად მიუდგომელია. დასავლეთით და ნაწილობრივ სამხრეთითაც რელიეფი „წყნარია“. ერთადერთი ბილიკი ნასოფლარს სწორედ ამ მხრიდან, დასავლეთიდან ადგება.

გეგმარებითი თვალსაზრისით, ნაგებობები მაღალი კლდეების თავზე საკმაოდ მოხერხებულად, კომპაქტურადაა განლაგებული და ერთ მთლიან, საფორტიფიკაციო, სათავდაცვო სისტემას ქმნის. იგი ამ ისტორიული მხარის ჩრდილოეთი საზღვრის დამცველ ავან-პოსტს წარმოადგენს.

ციხე-სოფელი გაშენებულია საკმაოდ რთული რელიეფის მქონე სამ ტერასაზე. რომელთაგანაც ქვედა, ძირითადად სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა. ზედა ორ ტერასაზე კი, რომლებიც ერთმანეთს ვიწრო ქუჩით უკავშირდება, მთლიანად საცხოვრებელი ნაგებობით იყო განაშენიანებული. შენობები ერთმანეთის მიჯრით დგას, მათი გარეთა კედლები საბრძოლო ზღუდეს ქმნის. ტერასის შუა, ყველაზე მაღალ ადგილას, კლდის წვერზე, ოთხკუთხა კოშკია აღმართული, შემორჩენილია ორი სართულის სიმაღლეზე, რომელიც მთელი კომპლექსის დომინანტს წარმოადგენს. დანარჩენი ნაგებობების კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი, ზოგისგან კი, მხოლოდ კვალი იკითხება. ნაგებობები ძირითადად სამსართულიანია. ციხე-სოფლის ეს მონაკვეთი, დანარჩენი ნაწილისგან იზოლირებულია და მასში მოხვედრა მხოლოდ შუა ტერასაზე მდებარე კოშკის პირველ სართულზე მოწყობილი ვიწრო შესასვლელითაა შესაძლებელი, რომელიც მიწის დონიდან დაახლოებით 1,2 მეტრის სიმაღლეზეა და წინიდან საკმაოდ ვიწრო მისადგომი აქვს. ნასოფლარის ყველა შენობა ფიქლისაა, წყობა მშრალი. ქვედა ტერასის ყველაზე მაღალ ადგილას აგებულია ოთხკუთხა კოშკი, რომლის გვერდით იყო ყორით შემოფარგლული ეზო, როგორც ჩანს, იგი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სადგომს წარმოადგენდა.

ციხე-სოფლის მეოთხე, ქვედა ტერასაზე, დაბლა, ჯგუფად, რამდენიმე ნაგებობაა განლაგებული.

დემნა გვასალია: „გრძელვადიანი სტრატეგიის უნდა გჯეროდეს!“

სოხუმელი ბიჭის, დემნა გვასალიას ისტორია მსოფლიო მოდის ბიზნესში ზღაპარს ჰგავს – მიზანდასახულმა ქართველმა დიზაინერმა იმდენს მიაღწია, რომ ერთდროულად ორ გავლენიან ბრენდს ხელმძღვანელობს.

დემნა გვასალია მის მიერ შექმნილი ბრენდის ვეტემენტსის და „ბალენსიაგას“ შემოქმედებითი ხელმძღვანელია.

წარმატებული ბიზნესის შესახებ დემნა გვასალია უცხოელ ჟურნალისტებს ესაუბრა:

– გრძელვადიანი სტრატეგიის უნდა გჯეროდეს, მაშინაც კი, როცა მოკლე ვადაში ფულს გაკარგვინებს. ბევრი ბრენდი ინადგურებს თავს, რადგან ფულზე უარს ვერ ამბობენ.

როდესაც პოპულარული ხდები, ბაერებს უფრო მეტი სურთ, გეუბნებიან: „ჩვენ გვინდა უფრო მეტი ფული მოგცეთ“ შენ უნდა უპასუხო: „არა!“ და ეს ყველაზე რთულია, რადგან ფულზე უარის თქმა არავის უნდა.

შემდეგ ვარდები ხაფანგში. მარკეტს ვერ გააძღობ. მიწოდება აკმაყოფილებს მოთხოვნას, მიწოდება უნდა აკონტროლო. მე ეკონომიკაში 4-წლიანი განათლება მაქვს და რისკებს კარგად ვაბალანსებ.

ანსამბლმა „გვირილამ“ პარიზში ყველა საპრიზო ადგილი მოიგო

ანსამბლმა „გვირილამ“, რომელიც 20 წელია ნიჭიერ მომღერლებს ზრდის, პარიზში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ყველა საპრიზო ადგილი მოიგო.

ფესტივალზე „პარიზის ვარსკვლავი“ ანსამბლ გვირილას სოლისტების საუკეთესო და ბრწყინვალე გამოსვლა წარმატებით დასრულდა. ნატალი ძულიაშვილმა, ბარბარე გოგიძემ, ანი ტოგონიძემ, მარიამ მელიქიძემ, ანი ჩაგუნავამ, თეკლა ბარნოვმა და ნინო დვალიძემ პირველობა არავის დაუთმეს და ფესტივალზე დაწესებული პრიზები სამშობლოში წამოიღეს.

თედო რეხვიაშვილის დასახმარებლად მხატვრები საქველმოქმედო გამოფენას გამართავენ

ახალგაზრდა მხატვარმა თედო რეხვიაშვილმა ნიუ-იორკის სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე ჩააბარა, საუკეთესოთა ათეულში მოხვდა და მოიპოვა უმაღლესი გრანტი 15.000 დოლარის ოდენობით. ამის მიუხედავად, დასაფარი დარჩა სწავლის ძირითადი საფასური, რაც 23.936 დოლარს შეადგენს.

არსებობს საფრთხე, რომ ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა მხატვარი ვერ შეძლებს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას საკმარისი თანხის უქონლობის გამო.

მხატვრის დასახმარებლად მისი კოლეგები გაერთიანდნენ და 14 აგვისტოს გალერეა „ვანდაში“ საკუთარ ნამუშევრებს გამოფენენ.

თედო რეხვიაშვილის დასახმარებლად გაერთიანდა და გამოფენაგაყიდვაში მონაწილეობას იღებს მრავალი ცნობილი ქართველი მხატვარი.

– ჩემი მიზანი საქართველოს დატოვება არ არის. ჩემი მიზანი თვითგანვითარება და შემდეგ აქ ღირსეული საქმის კეთებაა. ვინც მიცნობს, ეცოდინება ჩემი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. აუცილებლად ვიბრძოლებ იმისთვის, რომ საქართველო უკეთესი გახდეს, – აცხადებს თედო რეხვიაშვილი.

რუსთაველის თეატრი 140-ე სეზონს რობერტ სტურუას სპექტაკლით გახსნის

8 სექტემბერს რუსთაველის თეატრი საიუბილეო 140-ე სეზონს რობერტ სტურუას სპექტაკლით გახსნის.

„ვანო და ნიკო“ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ერლომ ახვლედიანის არაკებით მიხედვით დადგა. რეჟისორის სპექტაკლი ცხოვრების ფილოსოფიაზეა, არჩევანზე, რომელსაც ნიკოდ თუ ვანოდ ყოფნას შორის ყოველთვის თავად ვაკეთებთ. ვანო და ნიკო, ნიკო და ვანო – სიკეთე და ბოროტება.. ბოროტება და სიკეთე.

სპექტაკლში მხოლოდ 4 მსახიობი მონაწილეობს, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, დავით დარჩია, მიხეილ არჩვაძე და ნინო არსენიშვილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5339

ევრო — 2.9061

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2376

100 რუსული რუბლი — 3.7912

ამინდის პროგნოზი 14 აგვისტოსთვის

ვილიანმა ანტონიო კონტე გააკრიტიკა

ჩელსის ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ვილიანმა გუნდის ყოფილი მწვრთნელი ანტონიო კონტე გააკრიტიკა.

ვილიანის თქმით, კონტეს არ ჰქონდა სწორი დამოკიდებულება ფეხბურთელების მიმართ და მისი ჩელსიში დარჩენის შემთხვევაში, ვილიანი ამ გუნდიდან წავიდოდა.

– კონტეს ბევრი რამ ეშლებოდა, თუმცა დეტალებზე საუბარს არ ვაპირებ. ის რომ გუნდში დარჩენილიყო, აუცილებლად წავიდოდი სხვაგან, ახლა კი ბედნიერი ვარ და ვიცი, რომ ჩელსის შეუძლია ტიტულების მოგება, – განაცხადა ვილიანმა.

კონტემ ჩელსი ერთი თვის წინ დატოვა და მისი ადგილი მაურისიო სარიმ დაიკავა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ვარსკვლავური ინსტაგრამი

აგვისტოს მეორე კვირის დასრულების შემდეგ მრავალი ვარსკვლავიც ასრულებს დასვენებას და თანდათან სამუშაოს უბრუნდება, თუმცა სიცხე და მზიანი ამინდები საქმეებზე სრულად კონცენტრირების საშუალებას არ იძლევა. ამიტომ ისინი საზოგადოებას ინსტაგრამში საკუთარი სელფებით ანებივრებენ.

მაგალითად, ბრიტნი სპირსმა მოულოდნელად ყველანი საკუთარი ექსტრავაგანტური სამოსით გააკვირვა, რომელიც პრაქტიკულად ვერანაირად ვერ ფარავდა მის სხეულს. მომღერალმა საკუთარ თავს სურათი ლონდონში კონცერტის წინ გადაუღო. თუმცა ამას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია: ვარსკვლავს ფოტოშოპის გადამეტებით გამოყენებაში დასდეს ბრალი.

ამ დროს კი ბედნიერმა მეოჯახემ ჯასტინ ტიმბერლეიკმა და მისმა მეუღლემ ბილმა სელფი ლეგენდარულ რესტორან ნომაში გადაიღეს, რომელიც კოპენჰაგენში მდებარეობს. რესტორნის შეფ-მზარეული რენე რედზელი საკუთარ კერძებში ერთმანეთს უხამებს ჩრდილოეთის სამზარეულოს ტრადიციულ რეცეპტებსა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ მისმა დაწესებულებამ მიშლენის სამი ვარსკვლავიდან ორი მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გავიგე, ცოლს გაშორებიხარ, და როგორ არის საქმე?

– ჰო, გავშორდით და ბინა ორ ნაწილად გავიყავით... მე გარეთა ნაწილი შემხვდა.

●●●

ცოლი ქმარს ეჩხუბება:

– შენ უსინდისო, აუტანელი, ნაძირალა ხარ! მორჩა, მე მივდივარ შენგან! ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა! ბილეთის ფული მომეცი, ნაგავო, დედასთან მივდივარ!

ქმარმა ფული გაუწოდა.

– ნაძირალა! და უკან დასაბრუნებელი ბილეთის ფული?

●●●

ხალხით სავსე ავტობუსში დაბოლილი ნარკომანი ღრიალებს:

– ვინ დაკარგა 10-ლარიანი?

სიჩუმეა.

იმეორებს:

– ვინ დაკარგა 10-ლარიანი?

ამ დროს მოხუცი ქალი პასუხობს:

– ალბათ მე, შვილო.

– მერე, რას უზიხარ, მიდი, მოძებნე!

●●●

შვილი დედას ურეკავს:

– დედა, ქმარმა ისევ მიყვირა და გამლანძღა, მეტი აღარ შემიძლია, შენთან უნდა გადმოვიდე.

– არა, შვილო, მან საკუთარი საქციელისთვის პასუხი უნდა აგოს. მე გადმოვდივარ თქვენთან საცხოვრებლად.

●●●

ორი ახლობელი საუბრობს. ერთი მეორეს უყვება:

– გუშინ სანადიროდ ვიყავი და ბევრი ზღარბი დავხოცე...

– კი მაგრამ, ზღარბები რისთვის დახოცე?

– სიდედრს ვაჩუქე ქურქის საყელოსთვის...

●●●

ანატომიის გაკვეთილზე მასწავლებელი კითხვას სვამს:

– აბა, ვინ მიპასუხებს, ადამიანის რომელი ორგანოა ყველაზე დიდი? აბა, გიგი, რას მიპასუხებ?

– უკანალი. მასში მთელი ქვეყანა ეტევა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ბრაზილიელი რონალდო საავადმყოფოდან გაწერეს

მსოფლიო ფეხბურთის ბრაზილიელი ლეგენდა რონალდო საავადმყოფოდან გაწერეს და ის თავს კარგად გრძნობს.

რონალდო იბიცაზე იმყოფებოდა, როდესაც მოულოდნელად ცუდად გახდა და ყოფილი ფეხბურთელი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა და რონალდომ გულშემატკივრებს თანადგომისთვის მადლობაც გადაუხადა:

– რამდენიმე დღე საავადმყოფოში მომიწია ყოფნა, მაგრამ ამჟამად ყველაფერი კარგად არის. ყველა ადამიანს მადლობას ვუხდი, ვინც ჩემ მიმართ თანადგომა გამოხატა.

დიეგო გოდინმა ატლეტიკოსთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

მადრიდის ატლეტიკოს ცენტრალურმა მცველმა დიეგო გოდინმა გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ის ატლეტიკოში 2021 წლის ჩათვლით ითამაშებს.

გოდინის ყიდვა რამდენიმე კლუბს სურდა, განსაკუთრებით მანჩესტერ იუნაიტედი აქტიურობდა, მაგრამ საბოლოოდ გოდინმა ატლეტიკოში დარჩენა ამჯობინა.

დიეგო გოდინი უკვე დიდი ხანია, რაც ატლეტიკოს ღირსებას იცავს და ის ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება.

ატლეტიკომდე გოდინი ვილიარეალის ფეხბურთელი იყო.

ნეიმარმა დაბრუნება გოლით აღნიშნა

ნეიმარმა თებერვლის შემდეგ პსჟ-ს შემადგენლობაში საფრანგეთის პირველობაზე პირველი მატჩი ჩაატარა და დაბრუნება გოლით აღნიშნა.

პსჟ-ს მეტოქე კაენი იყო, რომელსაც პარიზელებმა ადვილად, 3:0 მოუგეს. ნეიმარმა შეხვედრაში ანგარიში გახსნა და მთელი მატჩის განმავლობაში აქტიური იყო, თუმცა მეორე გოლის გატანა მან ვერ შეძლო.

შეგახსენებთ, რომ თებერვლის ბოლოს ნეიმარმა საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც მან სეზონის დარჩენილი ნაწილი გამოტოვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 2. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 4. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 5. მდინარე კიევში; 6. მდინარე მექსიკასა და აშშ-ში; 7. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 10. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 12. ინდოეთში გავრცელებული ნიანგი; 13. ციური სხეული; 16. ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი; 17. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 19. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 21. დადუღებული ყურძნის წვენი.

თარაზულად: 3. გულის ცემა; 8. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 9. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 11. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 12. ტბა აშშ–კანადის საზღვარზე; 14. ჰერალდიკაში მოკლე წარწერა გერბზე; 15. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 20. ქართველი კომპოზიტორი; 22. მომთაბარე არაბი; 23. გემის წყალქვეშა ნაწილის სარემონტო ნაგებობა; 24. ქალაქ ტუაფსეს ძველბერძნული სახელწოდება; 25. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 26. სოფლის პოლიცია ძველად საქართველოში; 27. პოპულარული ტანსაცმელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა